



გაზეთი გაემოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N28 (9172)

10 ოქტომბერი. 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

“აბა, ვიშა უნდა დაგხუნდეს? აჩა, ბავთონო!”

6



“ოცნების” საში წელი

ის, ჩაც წელს

კაკუტა, 30 წელი

2

აჩ კაკუტუბერაძე



სულთანბეგულებმა განუძონებულ ბავშვებს მიაწერეს

10

სამცხურილი ჯახაცისკეში ჯილდო იმაჩუქებენ



სამცხურილი ჯახაცისკეებს “სეშიჩის” თუილი” აჩ მისცეს!

მის ბიბლიოთეკას კლასიკოსთა ნაწუქარი წიბნები ამკობს

7

მთაწარი ლინასატი - “სამტრედიის მაცნე”

3

საქაიხველო-ჩინეთი, პახუნოიხობა აგაიხელ სექსოიში

2



წამოუღებოით იანეთს ფახაა!

8

ის, რაც ნერს გაკეთდა, 30 წელი ახ გაკეთებოდა

6060 ნაწილაკი

5 ოქტომბრის ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებლის გარეშე ჩატარდა. სოფლებიდან წარმომადგენლებს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი შეხვდა და მათთან საქმიანი დიალოგი გამართა. ზურაბ გოგია ერთადერთი განცხადებით შემოიფარგლა, რასაც იქვე პრობლემური საუბრები მოჰყვა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს დავალა მისცა, მოსახლეობასთან მომავალ წლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციები მოამზადონ, ერთად ჩამოყალიბდნენ პრიორიტეტებზე: “ჩემი თხოვნა არის, დღეიდან შეუდგეთ ამ დავალების შესრულებას. შეხვდით მოსახლეობას, მოისმინეთ ხალხის აზრი, გაითვალისწინეთ უმრავლესობის სურვილი და შეჯერდით ერთზე, რომლის მიხედვითაც დასაწყისი სამუშაოები დაიწყება ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულში. 17 ნოემბრისათვის სოფლებში შეხვედრები ჩატარებული უნდა იყოს და შესაბამისი ხსენების ოქმები შედგენილი. 20 ნოემბერი სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან მასალების გადაგზავნის ბოლო თარიღია.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი არ მორიდებია იმის თქმას, რომ შარშან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები ძალიან ცუდად იყო დაგეგმილი. ზურაბ გოგიამ სოფლების წარმომადგენლებსგან მოითხოვა ინფორმაცია, რომელ სოფელში რომელ სათხე ჩატარდება საერთო კრება: “გვირდებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებთან იფიციალური პირები გავნაწილდებით და ჩვენც თქვენთან ერთად მივლევთ მონაწილეობას საჭიროებო საკითხების გადაწყვეტაში”.

მუნიციპალიტეტების საქმიანობაში მსგავსი მიდგომა სიახლეა: რამდენიმე თვით ადრე სოფელი შეჯერდეს სამუშაოზე, რომელიც თემის საერთო ინტერესებიდან გამოდის და აქტუალურია.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე წინააღმდეგი არავინ წასულა, თუმცა, ძველი პროექტებიდან გამომდინარე, რამდენიმე შენიშვნა დაიქსირდა. კერძოდ, დიდი ჯიხაბის წარმომადგენელი უკმაყოფილო იმის, რომ ერთ სოფელში სამი წელია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საბავშვო ბაღი რემონტდება. დაბა კულაშის წარმომადგენელი თანხის სიმცირეს უჩივის და იქვე შენიშნა, რომ ქვეყანაში, სადაც ფული აუთვისებელი რჩება, სასურველია, სოფ-

ის მხარდაჭერის პროგრამაზე უფრო მეტი თანხა გამოიყოს, რაც უპირობოდ სასიკეთოდ დააჩნდება ცალკეულ თემს. კონკრეტული შენიშვნა საინტერესოდ მიანია, მაგრამ ზურაბ გოგიას თქმით: “ეს საკითხი პრემიერთან უნდა დაისვას, ამას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ”.

არის პრობლემები, განსაკუთრებით სეზონურად რომ იჩენს თავს. მათ შორის არის საფანე ფართობებამდე მოსაღწევი გზები. მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციის უფროსმა ბეჟან გეგეშიძემ 5 ოქტომბრის შეხვედრაზე არა მარტო გომელების, ბევრი სოფლის თავსატეხი გააუღერა: “საფანე ფართობებამდე ბევრ გზებს უჭირს მისვლა. გალმა ზონაში ამ კუთხით საშინელი მდგომარეობაა. წელს არაფერი ეშველება. გაისისთვის კი, იქნებ გავითვალისწინოთ და ყურადღება მივაქციოთ ფანებამდე მისასვლელ გზებს. ყოველი შემოდგომა თავსატეხი რომ არ იყოს მშრომელი კაცისთვის, გლეხმა მისვლა რომ შეძლოს და მოსავლის დაბინავებაც”.

ზურაბ გოგია გუშინდელი კადრი არ არის. ამდენად, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, რომელსაც უშუალოდ უძღვებოდა, მის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ის, რაც წელს გაკეთდა, 30 წელია არ გაკეთებულაო, “სამტრედიის მაცნე” უფრო ჩაუღრმავდა და განცხად-



ების ავტორს შეხვედრის ბოლოს განმარტება სთხოვა: “გალმა ზონის წყალმომარაგების სისტემას კაპიტალური რემონტი 30-40 წლის განმავლობაში არ ჩატარდება. ხდებოდა მხოლოდ დაზიანებული ადგილების ლოკალიზაცია. კერძოდ, მხოლოდ დაზიანებული წყლის მილსადენის მიღების ნაწილობრივი შეცვლა. წელს კი მიმდინარეობს მთლიანად წყლის ავზების რეაბილიტაცია, საქლორატორების დადგმა, და ნაწილობრივ წყლის ახალი მაგისტრალის შეცვლა. კერძოდ, ტოლების თემში იცვლება, დაახლოებით, 8 კილომეტრის სიგრძის წყლის მაგისტრალი, ხოლო გომი-ოფეთ-

ის წყალსადენის მაგისტრალზე 1100 გრძივი მეტრი წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია ხდება, იღება ძველი, იდგება ახალი. მიუხედავად ასეთი სამუშაოებისა, ვერ აღმოფხვრება მთლიანად პრობლემა. გალმა ზონის მთლიანი მაგისტრალის სიგრძე 200 კილომეტრია. წელს 681 000 ლარის სამუშაოები შესრულდა, საჭიროა 2 მილიონამდე თანხის მოზიდვა, მთლიანად რომ შეიცვალოს წყლის მაგისტრალი. ამის მიუხედავად, მოსახლეობა ამჯერად გაუმჯობესებულ, ხარისხიან წყალს ღებულობს”.



ქვეყნიური რეზერვების კონსერვაცია

თბა გავრცელება

ძლიერი სოფელი რომ ძლიერი საქართველოა, ისმის ხშირად, ყველგან და ყველასგან. ეს ჭეშმარიტება უფრო ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ლინინგად რჩება, თუმცა სოფლის აღორძინების მხარდასაჭერად დაწყებული არაერთი პროექტის წარმატებით ბოლომდე მიყვანა სამომავლო იმედს მანაც იძლევა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრები მოსახლეობასთან, ფერმერებსა და გლეხებთან, ამ

თუ იმ დარგის გაძლიერებას, მოსავლიანობის ამაღლებას, სწორად რეალიზაციას და მისი, როგორც ბიზნესის უკეთ დაგეგმვას ემსახურება.

გარდა ამისა, დაიწყო ინტენსიური მუშაობა სოფლის

მეურნეობის სხვადასხვა დარგის კოოპერატივების მეშვეობით განვითარებისთვის და საერთოდ, კოოპერატივების შექმნა-ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

თითქმის ერთი თვის წინ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმო-

მადგენლები სტუმრობდნენ სამტრედიას. კოოპერატივების მეშვეობით მეფუტკრეობის განვითარების ირგვლივ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის უფროსი, დავით მამუკელაშვილი ესაუბრა სამტრედიელ ფერმერებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სახელმწიფო აფინანსებს პროგრამას, რომელიც მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების შემთხვევაში ითვალისწინებს ხის სულების გადაცემას მეფუტკრეობაზე. ღირებ-

ულების 70 პროცენტს სახელმწიფო, 30-ს კი კოოპერატივი დაფარავს. ეს მნიშვნელოვანი დახმარება იქნება საფუტკრეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. “სამტრედიამ, ისევე როგორც ყველგან, დაინტერესება საკმაოდ მაღალია. უკვე იკვებება პროგრამის განვითარების რეალური პერსპექტივები. კოოპერატივის სიკეთების დანახვა ძნელი არ არის. ისინი თავად ფერმერებმაც კარგად იციან.” – აღინიშნა მან.

ლაშა ციგრიანიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის მეთხილეობის სპეციალისტი, ამ კულტურის ირგვლივ არსებულ საინტერესო საკითხებზე, ნიადავის გათვალისწინებით მისი მოსაზრებების გაზრდასა და გასაღების ბაზრის უკეთ შერჩევაზე ესაუბრა თბილისის ბიზნესით დაინტერესებულებს. სახელმწიფო პროგრამით, “თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გზით”, ადგილობრივი მეთხილეები მათთვის საჭირო ფინანსურ თუ თეორიულ დახმარებას მიიღებენ. როგორც აღმოჩნდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ დარგში

საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, მამუკა კვანტალიანი ხაზს უსვამს, რომ კარგი იქნება მსგავსი შეხვედრები უფრო წარმომადგენლობითი იყოს, “სამწუხაროა, რომ მათ ყველა მსურველი ვერ ესწრება. და საბედნიეროდ, ამ კუთხით დაინტერესება ჩვენთან საკმაოდ დიდია. სამტრედიამ 4600-ზე მეტი ფუტკრის ოჯახია. აქედან 1400 ბაშული ია იოსელიანის ანგარიშზეა. ეს რაც აღრიცხულია. გარდა ამისა, არაერთ ფერმერს ჰყავს ფუტკარი, მაგრამ ჩვენთან აღრიცხული არ არის. რაც შეეხება თხილს, ეს კულტურა 1447 ჰექტარზეა გაშენებული სამტრედიის რაიონში. მასზე როგორი მოთხოვნილებაა ევროპულ ბაზარზე, ყველასთვის ცნობილია.”

სამტრედიელი ფერმერები პერიოდულად სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე მიიღებენ რჩევებს კვალიფიკაციური სპეციალისტებისგან.

საქართველო-ჩინეთი, პახნიოხოზა აგხიუდ სუესოხში

ღმინან გაგაჩნაზა

“რა არ მოდის ჩვენ მადლიან მიწაზე, ხელს თუ გამოიღებ და ვინებასაც ამოქმედებ, კაცი თავსაც ირჩენ და ქვეყანაც ძლიერი იქნება”.

ილია ორიოდ წლის წინ, მასზე, როგორც მოწინავე პერსპექტიულ ახალგაზრდაზე წერილი გავაკეთეთ. დავიბრდიოთ მამინ მკითხველს, რომ მის მიღწევაზე კვლავაც მოვუთხრობდით. სულ ახლახან სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქონლსა და სანაწარმოს განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბატონი ნიკა კაპანაძე ჩინეთიდან დაბრუნდა და ჩვენი საუბარიც შედგა.

ვიდრე ძირითად საკითხს შევეხებოდეთ, რესპონდენტი მასპინძელი სახელმწიფოს შესახებ ამოწურავ ინფორმაციას

გვაწვდის. ჩინეთი მოგესხნებათ უდიდესი სახელმწიფოა, იგი 23 პროვინციად, 5 ავტონომიურ რეგიონად დაყოფილი.

მოსახლეობა მილიარდ 360 000 000 შეადგენს, რომელიც 90% ათეისტია. ჩინელები თითქმის პურს არ ჭამენ, სამაგიეროდ რაციონში ბრინჯს დიდი ადგილი უჭირავს.

20 დღე გახლდით ჩინეთში და გაცივებული ვარ მათი სამზარეულოს მრავალფეროვნებით, ზამთარ-ზაფხულ მცენარეულ ნაყენს მიირთმევენ, თითქმის არ სვამენ ცივ წყალს. რაციონში უხვად აქვთ ზღვის პროდუქტები, ჩირი, მარლასა და შაქარს ნაკლებად ხმარობენ, ქალაქებში ერთობ გავრცელებულია ველოსიპედი... ეს რაც შეეხება უცხოელის თვალთ დახანჯულ ჩინეთს და ჩინურ ტრადიციას.

როგორც ცნობილია, ახალ ფაზაში შევიდა ორი მეგობარი სახელმწიფოს – საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობები, მრავალ ასპექტში რომ უნდა კპოეოს გამოხატულიყოს.

საქართველოსა და ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროების შეთანხმებითა და გადაწყვეტილებით, ჩინეთში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიღწეული გამოცდილების გაზიარებას და ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება საქართველოს სოფლის



მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა 20 დღიანი ტრენინგები ჩინეთში. პირველი ნაკადი მრავალწლიანი კულტურების წარმოების თავისებურებებს გაეცნოს. მეორე ნაკადის მსმენელები კი, რომ-

ელთა შორისაც ნიკა კაპანაძეც გახლდათ, აკვა კულტურების (წყლის კულტურები) წარმოების და განვითარების სპეციფიკას სწავლობდნენ.

შანხაიში ჩავედით, სწავლება ქალაქ უსში კოლეჯში მიმდინარეობდა, ეს კოლეჯი 1981 წლიდანაა დაკავებული კადრების გადამზადებით. აქ თვალსაჩინო ადგილზეა ყველა იმ ჯგუფის ფოტო, აქ რომ გადამზადდება გაიარეს, უკვე კოლეჯის ისტორიის ამსახველ სტენდზე ქართველ მსმენელთა ფოტოებაც დამკვიდრებული ადგილი. უსში, სადაც მოსახლეობა 6 მილიონს აღწევს, წლიური სამომხმარებლო კალათა ერთ სულ მოსახლეზე 13 000 დოლარია. სწავლება თარჯიმნის მეშვეობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება მიქცია იმ გარემოებაზე, რომ ჩინეთში, სადაც წყლის დეფიციტია, აკვაკულტურები ერთობ განვითარებულია, ტბორები, თევზსაშენები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ჩვენთან, საქართველოში კი წყალუხვი მდინარეების, ტბების, წყალსაცავების სიხშირეა და მთიეუბობა ნაკლებად განვითარებული, არადა, საამისო პოტენციალი ნამდვილად საქართველოში, დასძენს რესპონდენტი.

აფრიკული ჯიშის თევზი “ტელაპია” 20 გრადუს ტემპერატურაზე 5-6 თვეში 600-700 გრამს აღწევს და იშვიათი გემ-

ოვნური თვისებებით ხასიათდება, თუ ტემპერატურული რეჟიმი იქნება დაცული, თევზის ამ ჯიშის წარმოება საქართველოშიც უპირობოდ შეიძლება, გვეუბნება ნიკა.

ერთობ განათლებული, ერუდირებული ახალგაზრდა ბატონი ნიკა და რა საკვირველია, რომ ყურადღება იმ მნიშვნელოვან საკითხზეც გაამახვილა, რომელიც სახელმწიფოსა და ფერმერთა ურთიერთობას ეხება და აწესრიგებს.

ჩინეთში 1100 ფერმერზე 1 სპეციალისტი მოდის. 2010 წლიდან ფერმერები არ იხდიან სოფლის მეურნეობის გადასახადს. მოწინავე ფერმერებს 81% სუბსიდიას სახელმწიფო აძლევს, თითოეული გოჯი მიწა მასპინძელურადაა გამოყენებული. ჩაი, სოიო, ბრინჯი... ის კულტურებია, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი რომ უკავიათ, რაც შეეხება ვენახს, ისინი მოჰყავთ როგორც სათბურებში, ასევე ჩვეულებრივ საუბარს განაგრძობს რესპონდენტი.

ჩინეთში 20 დღიანი სწავლება კულტურულ ტურნესაც მოიცავდა და ნიკაც შესაბამისი სერტიფიკატითა და შთაბეჭდილებებით დახუნძლული დაბრუნდა.

საოცრებაა ჩინეთის დიდი კედელი, იმ ქალაქებში, სადაც გვიხდებოდა მოგზაურობა, ზოგადად ჩინეთში დიდი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას. ბაღები, სკვერები, მრავ-

თემა გაგზავნილი

მთავარი ანგარიში "სამტრედიის მაცნე"

თემა გაგზავნილი... წლების სიმრავლეს ერთი მიმართულება, მისი გახდება "სამტრედიის მაცნე"!



ული ჩამონათვალის რანჟირების შედეგად, ფინანსურ-ეკონომიკური მარჯვენებით, რა თქმა უნდა, შპს "სამტრედ-

ექვსი ქვეყნის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, რუსეთისა და საქართველოს მიერ შექმნილი ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის ვალერი გიფინსკის, საორგანიზაციო ჯგუფის აღმასრულებელი მდივნის, ირმა კუტუბიძის, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მაკა კუტუბიძის ხელმოწერით სერტიფიკატები, მედლები და ორდენები ამჯერად რედაქციაში ჩამოგვყავდა.

მთავარი ადრესატი, საქართველოს სამეურნეო საქმიანობის სუბიექტთა სრ-

ული ჩამონათვალის რანჟირების შედეგად, ფინანსურ-ეკონომიკური მარჯვენებით, რა თქმა უნდა, შპს "სამტრედ- კომპანიის ეფექტური მართვისთვის,

მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ორდენით "ეკონომიკის ვარსკვლავი" შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია დაჯილდოვდა.

მედილი "პროფესიული დამსახურებისთვის" გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მთავარ რედაქტორს, ქეთევან ჭვლიძეს, მაღალი პროფესიონალიზმისათვის, დასახული ამოცანების ოპერატიული და ხარისხიანი შესრულებისთვის და სამუშაოს მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისთვის გადაეცა.

ეროვნული სერტიფიკატი ნომინაციაში, "წლის სპეციალისტი 2015", ბულალტერმა დიანა ნიკოლეიშვილმა დაიმსახურა, სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის, პირადი წვლილისთვის შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევებში, ამოცანების გადაჭრის დროს გამოჩენილი რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისათვის.

"გილოცავთ! ეს უპირველესად თქვენი კოლექტივის, ჟურნალისტების, თქვენი ხელმძღვანელების, ბატონი ბეჟანის დამსახურებაა. შემდეგ კი ჩვენი მორალური წვლილიცაა." - მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფიცხვარიამ რედაქციის თანამშრომლებს.

"როგორც ტექნიკურად, ასევე ინტელექტუალური მაჩვენებლებით ბოლო პერიოდში გაზეთი გაცილებით უკეთესი, უფრო კითხვადი გახდა, ეს, პირველ რიგში, ჟურნალისტების და მისი ხელმძღ-

ვანელის, ბატონი ბეჟანის დამსახურებაა. მან ბევრი ტექნიკური პრობლემა მოაგვარა. სასიხარულოა უკეთესობისკენ სვლა ამ გაზეთისა. მისი ელექტრონული ვერსიებით ხშირად ვსაუბრობო. კარგ გზაზე დგახართ და ეს ჯილდო ამის დამადასტურებელია. იგი რეალური დამსახურებაა იმისა, რასაც აკეთებთ!" - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა საუბარში მილოცვის ისიც დაუმატა, რომ "უნდა აღინიშნოს მისი იდეურ-პოლიტიკური დონეც. ბოლო სამი წლის განმავლობაში, როცა ზეწოლა აღარ არის, გაზეთი გაცილებით კარგად იკითხება. ამ კუთხით ამოისუნთქა მან, ზეწოლა აღარ არის, რაც წინა ხელისუფლების პირობებში საგრძნობი იყო."

გვეამაყებით! - ესეც გამგებლის სიტყვებია. აქვე ისიც, რომ ვალერი ფიცხვარი ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და მეგობარი ჯერ კიდევ მაშინ გახლდათ, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს გადადგამდა. დღესაც მის გულშემატკივართა და კეთილმოურთეთა რიგებში ვთვლით, არა როგორც გამგებელს, არამედ როგორც წლებით ნაცად მეგობარს.

ჩვენც გვეამაყება ჩვენი "მაცნელობა", წლებით, შრომით, კეთილსინდისიერებით მოტანილი. ამბიციურობა თანამედროვეობის ნიშანია და თავს ხმამაღალი განცხადების უფლებას ვაძლევთ - გვეამაყობდეთ, ჩვენ იმედებს ვამართლებთ!

თემა გაგზავნილი

მადლობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმისგან

ოთხშაბათს, დირექტორთა ტრადიციულ თათბირზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე გულიყო ცინცაძე საგანმანათლებლო რესურსცენტრში მადლობის სათქმელად მივიდა.

საქმე, პირველ რიგში, სამომავლოდ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და საჯარო სკოლების მჭიდრო კავშირი და ურთიერთთანამშრომლობა იყო. "ეს, მინიმუმ, იმის გარანტი იქნება, რომ მოსწავლე-ახალგაზრდებმა მეტი გაიგონ საკუთარი ქალაქის, სოფლის, რაიონის ირგვლივ და გაეცნენ რიც საუბრებში, ტიპობრივებში, ეკლესიების, დასახლებების, სოფლების წარმოშობის ისტორიაში." - აღნიშნა მან. ინტელექტის და კულტურის ამაღლების ეს ფორმა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ხელსაყრელია და დირექტორებმა ეს მოიწონეს.

გულიყო ცინცაძემ არაერთ მათგანს გულითადი მადლობა გადაუხადა. "ისინი ძალიან დაგვეხმარნენ მუზეუმის ექსპონატების შეგროვებაში. უზრუნველყვეს მათი შენახვა. მოგვაწოდეს არაერთი საინტერესო ინფორმაცია, დაგვეხმარნენ სხვადასხვა სამეცნიერო თემებით. ერთი სიტყვით, სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის საჭირობოტო და საშური საქმე გააკეთეს." - ასე მიიღო გულიყო ცინცაძის მადლობა ნილის საჯარო სკოლის დირექტორმა ციალა ძნელაძე-გრიგოლიამ; განსაკუთრებული მადლობა - ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ნათელა ბრეგვაძემ, რომელიც ამჯერად მრავალმხრივად ეხმარება მუზეუმს. მადლობა დაიმსახურა მართლმადიდებლური სკოლის დირექტორმა, ნატო კოპალეიშვილმა, ამავე სკოლის პედაგოგმა ირაკლი მაჭავარიანმა. იგი ექსპონატების შეგროვებასთან ერთად, საძიებო საქმიანობაშიც შეეშველა მათ. მისი მეშვეობით მიაგნეს ბილად დინდარ მიქელაძეს, "ვეფხისტყაოსნის" თურქულად მთარგმნელს. განსაკუთრებული მადლობა მე-12 სკოლის დირექტორს, გერმანისტ ხათუნა თელას. მისი დამსახურებით, გერმანიის ქალაქებში ჰამბურგსა და კიოლნიში სადაც ნიკოლოზ ჯანელიძე მოღვაწეობდა, მიწერ-მოწერა აწარმოეს მასზე მასალების მოსაძიებლად. მადლობა გადაუხადა მე-10 საჯარო სკოლის დირექტორს, მაყვალა თევზაძეს და მისი სკოლის პედაგოგებს, დალი დამბაშიძესა და ირმა იაშვილს, ქვეყნის საჯარო სკოლის დირექტორს, გიორგი შანიძეს, საჯარო სკოლის დირექტორს, ვაჟა კუციას, ექსპონატების სათანადოდ შენახვისათვის, ამავე სკოლის პედაგოგს, ლიანა კახიანს, რამდენიმე სოფლის ტიპობრივ, უძველესი ნასყიდობებისა და ხელშეკრულებების შეგროვებისთვის. მადლობა დაიმსახურა მესხური სკოლის პედაგოგმა შუქრი ურუშაძემ და პენსიონერმა პედაგოგმა ზაიდა გრიგოლიამ საგანთო პუბლიცისთვის მუზეუმის შესახებ.

გულიყო ცინცაძის მადლობა საჯარო სკოლის აწ გარდაცვლილ დირექტორს, ლონგინო გეგეშიძესაც ერ-



გო, უნიკალური არქეოლოგიური მასალის შეგროვება-შენახვისათვის. აგრეთვე, ამავე სკოლის ყოფილ ისტორიის პედაგოგს ზურაბ კოლაშვილს. საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ინტელექტუალურად დაეხმარა, ტელეფონ-

ისი ციხეზე ვრცელი ნარკვევი დაწერა. "მე ტოლბის მკვიდრი ვარ. ჟურნალისთვის ნარკვევი გაგაკეთე ტელეფონის ციხის ირგვლივ. რითაც შემქმნელა, ცხადია, დავეხმარები მუზეუმს. ეს რა სამადლობელია, ჩვეულებრივი ამბავია." -

აღნიშნა მან. საუბარი კი იმ ჟურნალზეა, ახალი წლიდან მუზეუმის თანამშრომლები რომ გეგმავენ გამოცემას. მას "სამტრედიის მატანე" ერქმევა და დაიბეჭდება სამეცნიერო შრომები, ნარკვევები და მონოგრაფიები სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და მასში დაცული ექსპონატების ირგვლივ.

ალფეროვანი დეკორატიული მცენარეებით იწონებენ თავს, ოღონდ ბაღებში არ დგას ძელსკამები, დამჯდარს ვერავის ნახავთ, სკვერებსა და ბაღებში ძირითადად სეირნობენ.

თევზის ტბორებში უკვე მოხმარებულ წყალს ფილტრავენ და გასუფთავებულს აბრუნებენ ბუნებაში. ენერჯის ალტერნატიულ წყაროებს: ქარის, მზის ენერჯიას ქვეყანაში მაქსიმალურად იყენებენ. პატარა ქონშიც კი მზის ბატარეები და მონიტორინგული. ერთი სიტყვით, ჩინელები ბუნებისაგან ნაბოძებ ყველა სიმდიდრეს მაქსიმალურად ითვისებენ. გაუკვირდათ, რომ საქართველოში, წყალზე ქვეყანაში მოსახლეობა ძირითადად შემოტანილი, გაყინული თევზით იკვებება.

20 დღეში ჩხირებით ჭამის მეთოდიც რამდენადმე ავითვისე და მათი გამოყენების უპირატესობაშიც გავერკვიეო, გვიყვება ნიკა და დასძენს, რომ თურმე ჩხირებით ჭამისას მოძრაობაში მოდის თითქმის ყველა თითი, სადაც ნერვული დაბოლოებები განთავსებული, რაც ორგანიზმისთვის ერთობ მარგებელია. საუკუნეებს ითვლის საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ისტორიული ანალები დადასტურებენ, რომ ადრეულ საუკუნეებში, როცა ავიაციის თანამედროვე მიღწევებზე ჯერ ოცნებაც არ შეიძლებოდა, საქართველოდან ჩინეთში გაჰქონდათ სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურის ნაწარმი, ხილი და ა. შ.



როგორც ვთქვით, მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეორე საუკუნის დასაწყისში ორ ქვეყანას შორის მეგობრულმა, პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ახალი მასშტაბები შეიძინეს. საქართველო ჩინეთის, ჩინეთი საქართველოს სანდო პარტნიორია, ამ პარტნიორობის შემადგენელი ნაწილი გახლდათ ჩინეთის მხარის მიერ დაფინანსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემის სპეციალისტთა მიწვევები და 20 დღიანი ტურნეები ჩინეთში, რომელიც ნიკა კაპანაძის თქმით ერთობ დროული და ნაყოფიერი, მრავლის მომცველი აღმოჩნდა. გვეწამს, შორეული ჩინეთიდან ახლად დაბრუნებული ახალგაზრდა სპეციალისტი, ბატონი, ნიკა კაპანაძე ენერჯიას, ცოდნას და მიღებულ გამოცდილებას სრულად მოახმარს საქართველოში აგრარული სექტორის შემდგომ განვითარებას. წარმატებებს ვუსურვებთ ნიკას პირად ცხოვრებაში, პროფესიულ სარბიელზე.

სამცხური ქაჩაყისკენ "სემიჩის" იუჯი" ახ მისცეს!

სამტრედიელი კარატისტები საკრებულოს ბოლო სხდომაზე პატარა განცხადების საბაბი გახდნენ. უფრო სწორად, კითხვა დასვა. იგი ოპოზიციონერმა მამუკა ბიბილეიშვილმა დასვა და მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული სამტრედიელი კარატისტის, თამარ ბიბილეიშვილის გამგზავრებას ეხებოდა. როგორც მას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა უპასუხა, თანხა ვერ გამოძებნა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სპორტსმენის ტიტულოვან ტურნირზე გასამგზავრებლად. გარდა ამისა, მას შეასვენეს, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე თანხის მიცემა კი არა, მისი გამოძებნის გზების მოძებნა გადაწყდა. ადგილობრივ ბიუჯეტს კი ამ ეტაპზე 6 ათასი ლარის გამოყოფის საშუალება არ აქვს. "გარდა ამისა, საკითხი რამდენადმე დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე". - აღნიშნა კობა ძიძიგურმა. განაილების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბადრ შენგელია მამუკა ბიბილეიშვილს იმაზეც შეელაპარაკა, რომ სპორტის სამინისტროდან უნდა მოსულიყო შესაბამისი შეტყობინება ტურნირის თაობაზე. "ჭკვექემ ვაყენებთ ტარდება თუ არა მსოფლიო ჩემპიონატი? სხვა დროს, სხვა შემთხვევაში ვითხოვთ ამგვარ წერილებს? უბრალოდ, ადგილობრივი ხელისუფლება არც ერთ დონეზე გულისყურით არ მოეკიდა საკითხს. საქმე კი გაფუჭდა, თამარ ბიბილეიშვილი, მისი წარმატებების და ტიტულების გათვალისწინებითაც, სამტრედიის სახელით გამოდიოდა ამ მნიშვნელოვან ტურნირზე". - შეეპასუხა მის კომენტარს კითხვის ავტორი.

ოპოზიციონერ დეპუტატს უმრავლესობის ლიდერი საკრებულოში და ყოფილი სპორტსმენი ტარიელ დვალისვილიც დაეთანხმა: "სახსრები უნდა გამოგვეძებნა, მით უმეტეს, რომ არ იყო დიდი თანხა. 6 ათასი ლარი ასეთი საქმისთვის "სემიჩის" ფულაა". ეს არ არის მოსაწონია!"

და საყურადღებო ფრაზა უმრავლესობის ლიდერისა, საკრებულოს ბოლო სხდომაზე - "ეს მერე ფეხბურთსაც დაარტყამს". საკარაუდოდ, ბატონმა ტარიელმა საფეხბურთო კლუბისთვის უშუალოდ მიცემული თანხების სამომავლო დამატების პერსპექტივა იგულისხმა.

სვეტიცხოვლობას გილოცავთ!

სვეტიცხოველი XI საუკუნეში ხუროთმოძღვარ არსუკიდის მიერა აგებულა. მცხეთობა-სვეტიცხოვლობა იმართება მცხეთის კათედრალურ ტაძარში, სვეტიცხოველში.

დღესასწაული დაწესდა ტაძარში აღმართული საკულტო სვეტის (სვეტიცხოველი) და ქრისტეს კვართის სადიდებლად. ამ დღეს იმართებოდა დიდი წირვა და მრავალი მლოცველი მოდიოდა საკლავითა თუ უსისხლო შესაწირავით.

დასრულდებოდა თუ არა წირვა, მლოცველები ტაძრის გალავანში შლიდნენ სუფრას და იმართებოდა პურობა.

ლევენდის მიხედვით ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ.

ლევენდის ძირითადი იდეა სვეტიცხოვლის სასწაულომოქმედება წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია ცხოვრების ხის უძველეს მობრუნებთან.

14 ოქტომბერს (ძველი სტილით 1 ოქტომბერს) ეკლესია მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, კვართის დღესასწაულს აღნიშნავს.

ამ დღეს ვველა მოქმედ ტაძარში აღველინება შესაბამისი ღვთისმსახურება.

გილოცავთ!

ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი



ოჩივე გომედი და ოჩივე 101 წლის

60601 ნანობაშვილი

შარშან ამ დროს, სტუმრად მისულეობა, როცა ქეთო ბეოს მოვიდითხეთი, უკანა ეზოს ხვეტავსო, გვითხრა მისმა შვილიშვილმა, გონა ჩაჩუამ. გაგვიხარდა, იმწუ კარგი რა უნდა მოისმინო, როცა 100 წლის ქალბატონზე გეტყვიან, შინ არ არის, საკარმიდამო ნაკვეთში საქმიანობსო.

წელსაც მივედი, ამჯერად 1-ლი ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე – 101 წლის ქეთო ჩაჩუასთვის უნდა მიგველოცა. ფეხზე მდგომი დაგვიხვდა. “თავის თავს უელის, მაგრამ ეზოში ვეღარ საქმიანობსო”, – დანაწებით გვითხრა შვილიშვილმა, რომელიც თავადაც ბაბუაა.

მე-5 თაობას მოესწრო, თუმცა მისთვის წლებს სიხარულთან ერთად ტკივილიც მოჰქონდა. 4 შვილიდან 3 ცოცხალი ადარ ჰყავს.

შრომში გაატარა წუთისოფელი. შესაბამისი დაფასებაც ჰქონდა, რაიონული საბჭოს დეპუტატა სტალინის მედალოსანი იყო. დღემდე ომში გათანაბრებული სტატუსის ინარჩუნებს და პენსიას 182 ლარს იღებს. შემოსავალს ოჯახს ახმარს. იშვიათად აკადემიკოსობს და პენსიას შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს უნაწილებს. ერთად გაინაწილებენ იმ პროცენტსაც, რომელიც “სახლი თანადგომას” თანამშრომლებმა ჩაჩუების ოჯახში შარშანდელის მსგავსად წელსაც მიიტანეს.



დუქსაც, რომელიც “სახლი თანადგომას” თანამშრომლებმა ჩაჩუების ოჯახში შარშანდელის მსგავსად წელსაც მიიტანეს.

“მადლობას ვუხდით “სახლი თანადგომას” ხელმძღვანელს, მშვენიარ ბოხუას და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს იმ საჩუქრისთვის, მკურნა წელია, რომ ვლებულა. დაფასებულია ჩვენი ქეთო ბეო. მაგრამ უფრო

კმაყოფილები ვიქნებოდით, ახალგაზრდებსაც რომ გვქონდეს ჩვენი შემოსავალი. მეუღლე ისევ თურქეთშია, ბანკის ვალები რომ გავისტუმროთ. აქამდე ოჯახში სოციალური დახმარება მოგვდიოდა. ახლა კი ბაზიდან ამოგვიღეს და 101 წლის ქალის პენსიაზე დავრჩით. 11 ოპერაცია მაქვს გაკეთებული, გულზე ახლაც მჭირ-




დება ქირურგიული ჩარევა, მაგრამ საშუალება არ მაქვს. მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ და პენსია არ დამინიშნეს. მეტი ყურადღება გვჭირდება ხელისუფლებისაგან”. – დამშვიდობების დროს მადლიერებასთან ერთად გულისტკივილი მაყოლა ქეთო ბეოს შვილიშვილმა, გონა ჩაჩუამ.

როცა “სახლი თანადგომას” დირექტორმა 100 წლიანების შესახებ ინფორმაცია მოიხა, აღმოჩნდა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი ქალბატონი გვყავს. ორივე გომის თემის მკვიდრი და ორივე 101 წლის.

ქეთო ჩაჩუამ საუკუნეს 10 იანვარს გადააბიჯა. მადინა ნიკურაძეს კი 101 წელი 28 აგვისტოს შეუსრულდა. ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის მისალოცად “სახლი თანადგომას” დირექტორთან, მშვენიარ ბოხუასთან ერთად გომის გზას დაადგინე გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი, “სახლი თანადგომას” თანამშრომელი, რუსუდან ტრაპაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილი, სპეციალისტები არსენ თავაძე და ჯონი თევზაძე.

ჩაჩუებიდან ნიკურაძეებში გადავდით. “ზომ დაგპარდით, გაისადაც მოვალეთ”, – ნიკურაძეების ენის ზღურბლს ამ სიტყვებით გადავაბიჯეთ და დიდი ხნის



ხელზე ეკლესია ააშენა, მძები ერთ კუბოში ჩაასვენეს. იმ დღიდან ტაძარს “მოწამეთა” დაერქვა. XX საუკუნის დასაწყისში, უღმერთო კომუნისტებისაგან დაცვის მიზნით, საზოგადო მოღვაწემ ტრიფონ ჯაფარიძემ ცხედრები ქუთაისის მუზეუმში გადაასვენა. ღვთის ნებით ამჟამად წმინდანთა ნეშტები მოწამეთას ეკლესიაში განისვენებენ. ამ დღეებში ეკლესია წმინდა მოწამეებს დავით და კონსტანტინეს (მხეიძეები) იხსენებს.

ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი

ახვითი ბაიბაზი

უსიცოცხლოდ მიიზღაზნებოდა VIII საუკუნე ქრისტეს აქეთ, როცა საქართველოს მუშლივით შემოესია სისასტავით ცნობილი მურვან ყრუ.

ერთ-ერთი შემოტევისას მისი ჯარები სასტავად დაამარცხეს არგვეთის მთავრებმა, მძებმა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა.

მტერმა მათ წინააღმდეგობა არ აპატია. მურვანი მოიხიბლა მძების აზოვანებით და გადაწყვიტა, მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებია იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარმწუნოებას შეიცვლიდნენ – უარყოფდნენ ქრისტეს.

მძების პასუხი ასეთი იყო: “წარმავალია შენი დიდება, ჩვენ დავმარცხდით არა მაჰმადის ძლიერების გამო, არამედ ჩვენი ცოდვებისათვის. ღმერთს თქვენი ხელით ჩვენი გამოცდა სურს და განმტკიცება”.

მძებს ხელ-ფეხი შეუკრეს მძიმე ლოდები დაჰკიდეს და წყალში გადაყარეს. იმ დამით გვამებს ნათლის სვეტი დაადგა და ისინი ნაპირისაკენ გამოიყვანა. მორწმუნეებმა გვამები წაასვენეს და წყალწითელასთან აუღდაშამი დაკრძალეს.

1040 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ IV მოწამეთა სახელზე ეკლესია ააშენა, მძები ერთ კუბოში ჩაასვენეს.

XX საუკუნის დასაწყისში, უღმერთო კომუნისტებისაგან დაცვის მიზნით, საზოგადო მოღვაწემ ტრიფონ ჯაფარიძემ ცხედრები ქუთაისის მუზეუმში გადაასვენა.

ღვთის ნებით ამჟამად წმინდანთა ნეშტები მოწამეთას ეკლესიაში განისვენებენ. ამ დღეებში ეკლესია წმინდა მოწამეებს დავით და კონსტანტინეს (მხეიძეები) იხსენებს.

ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი

ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი

წერა არასდროს გამჭირვებია ასე რატომ?

იმითომ, რომ იმ ადამიანზე მსურს ვწერო, ერთობ რომ ვაფასებ მზისქვეშეთში.

დეკანოზ ანტონზე (ვაშაძე) მოგახსენებთ. ცოტაა თქვა, რომ განათლებული, ნაკითხია. ერთი აკადემიაა მისი ქადაგების მოსმენა.

საუბრობს მშვიდად, აუღელვებლად, სიღრმისეულად, ფოლისმომცველად. უბრალოდ – გასაგებად...

ფესვები? – იმერული... წარსული? – შეუბღალავი... ოჯახი? – სანაქბო...

გატაცება? – ფილოსოფიურ-თეოლოგიურ-ესეისტური ჟანრი... ირიფრაჟა, ქალაქმა გაიღვიძა.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის ზარები თავისთან უნძობს მრევლს...

სულგანაბული ვდგავართ და ვუსმენთ... ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი.

ლოცვას ალაგვენს მამა ანტონი



ლოზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: “ორი წელია, რაც ჩართული ვარ ამ აქციაში. დღეს პირველი ოქტომბერია. მსოფლიო აღნიშნავს ხანდაზმულ ადამიანთა პატივგების დღეს. სამტრედიაც შეუერთდა ამ დიდ ღონისძიებას, რომელმაც სათავე აიღო მე-20 საუკუნიდან. პირველად მისი აღნიშვნა ევროპაში მოხდა, შემდეგ – ამერიკაში. ახლა კი საყოველთაო ხასიათი მიიღო – მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

ვულოცავ ვველა ადამიანს, 100 წელს გადაცილებულსაც და უფრო ნაკლებსაც, მაგრამ განსაკუთრებით ხანდაზმულებს. მინდა, ახალგაზრდებს ვუთხრა, რომ ისე ეცხოვროთ, როდესაც თმაშეკერცხლილი ცხოვრებას უკან გამოხედავენ, ეთქვათ, ოჰ, ეს რა ლამაზად გვიცხოვრებო. ყველას ვუხურებ, მიეღწიოთ ხანდაზმულობამდე და არა მარტო ასაკით, არამედ ფოფილეოს მათი ცხოვრება, რაც შეიძლება, ნაყოფიერი, ლამაზი, მშვენიერი”.

ქეთო ჩაჩუა და გალინა ნიკურაძე შარშან როგორც დატოვა, წელსაც ისე რომ დაუხვდნენ, ამის გამო კმაყოფილებას ვერც “სახლი თანადგომას” დირექტორი, მშვენიარ ბოხუა ფარავდა: “შარშან პირადად დავიბარე, ქეთო ბეო და გალინა ბეო ასე ლამაზად დახვდნენინათ და სურვილიც ამისრულდა, ვიმედოვნებ, მომავალ წელსაც ჩვენგან მისულ სტუმრებს 102 წლის ასაკში ასევე კარგად დაგვხვდებიან. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ წელს მეტი 100 წლიანი გვენახოს და უფრო მეტად გაგვეხანებინოს საჩუქრების სიმრავლით. აქვე მინდა, აღვნიშნო ჩვენი გამგეობა და საკრებულო სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას ცდილობს ჩვენი ბენეფიციარების მიმართ უკეთესი პირობების შექმნას, რაც ნათლად აისახა ჩვენს მუშაობაში, უფასო სასაღილოს შევუძინეთ სხვადასხვა ნივთი, მათ შორის მაცივარი, რაც მათ პირობებს გააუმჯობესებს”.

სკოლაში უკეთესი გარემონტებული ბავშვების მიახლოება

ნათია ნაცვლიძე

“სხვა ბავშვები?” – მკითხა ჩემმა 4 წლის შვილმა, როცა მშობლიურ № 4 ბაგა-ბაღის ეზოში შევიყვანე, ახალი ინტერიერი და გარემონტებული ოთახები იმდენად ეუცხოვა. ასეთი სასიამოვნო გაცემა ბევრ პატარას დაეუფლება წლეულს თავისი ბაღის ნახვისას.

ოქტომბრის წვიმამ ხელი შეუშალა მათ, სადამზრდელო პროცესის განახლება და ცის ქვეშ ხალხმრავლობის ფონზე აღენიშნათ. მუნიციპალიტეტის 22-ე ბაღში პატარები მერხებს მიუსხდნენ. ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი საბავშვო ბაღი შეემატა სოფელ გორმალში, სადაც სადამზრდელო პროცესი 1 კვირის შემდეგ განახლდება და იქ 25 ბავშვს მიიღებენ.

აღსანიშნავია, მხარულ, ემოციურ პატარებს ახლად გარემონტებული ბაგა-ბაღები დახვდათ, სწორედ ისეთი, სახეობო ლექსებში რომ მოხსენიებენ ხოლმე ისინი. ხელისუფლების წარმომადგენლებს აცრემლებული პატარების ხელში აყვანა და მოფერება ახლაც ისევე უწევთ, როგორც წინა წლებში. ბევრი სულ პირველად მოვიდა აქ, და ჯერ დედის კალთასთან განმარტება ეძლევა. ამიტომაც, მუნიციპალიტეტის გამგებებს, ვალერიანე ფოცხვერიას, მის მოადგილეს ლიზა კრავიშვილს და მამუკა თავაძეს რამდენიმე პატარის ხელში აყვანა და მათი დაწყნარება მოუხდათ.

სტარტი № 4 ბაგა-ბაღიდან აიღეს (მმართველი ნანა დუნდუა), სადაც წლეულს ბავშვთა რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. აქ 480 პატარაა ქალბატონმა ნანამ გარემონტებული ოთახები დაგვითავალაშინა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. და როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ გვითხრა, ქალაქის 10-ე ბაღში სარემონტო სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით, ხოლო სოფლის ბაგა-ბაღებში კი სოფლის პროგრამით განხორციელდა. მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ხათუნა ახობაძე გვეუბნება:

“თითქმის ყველა ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ძირითადად სველი წერტილები მოწესრიგდა. ასევე საძინებლები, მისაღები. ნაწილი სამუშაო კვლავ შესასრულებელია. ჯგუფი დაემატა დაბლა გომში, ასევე მეორე ბაგა-ბაღში. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას სულ 302 თანამშრომელი ჰყავს. სასიხარულოა ისიც, რომ უკვე



25%-იანი სახელფასო მატებაც არის.” ქალაქის № 1 ბაგა-ბაღში (მმართველი მარინა შენგელია) ასევე მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულო, გადაიხურა სახურავი, შეიძინეს ახალი ინვენტარი სამზარეულოსთვის. გარემონტებული ოთახები ბაღის სტუმრებმა მოინახულეს.



ქალბატონი ლიზა კრავიშვილი მოხვდება თუ არა დღის ცენტრ “ლაპარის” სიახლოვეს აუცილებლად სტუმრობს ამ სახლს. ამჯერად შემოდგომის განწყობა იგრძნობდა დღის ცენტრში. პატარებს და აღმზრდელებს მადლობა გადაუხადა ქალბატონმა ლიზამ, გამგებელმა მათი პრობლემები მოისმინა და დახმარება აღუთქვა. სოფლის პროგრამებით განხორციელდა სამუშაოები დიდი ჯიხაბის № 1 და № 2 ბაგა-ბაღებში, სადაც ასევე სტუმრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. № 1 ბაგა-ბაღის მმართველი ცისანა ლეკვიშვილი კმაყოფილი გვემგზობს და ახლად აშენებულ 4 ოთახს გვიჩვენებს, (სულ 52 კვადრატული მეტრი) სადაც “სამზარეულო და საკუჭნაო განთავსდა. მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულოში გვაწვიმდა და ახალ კომფორტულ გარემოში გვიწევს სადილის მზადება, ჭურჭელიც ახალი გვაქვს, სიხარულით გვეუბნება მზარეული ქალბატონი. ამ ბაღში 83 ბავშვია.



ქალბატონი მია ჩერქეზია დენილია, ის “სამტრედიის მაჯნეს” ფურცლებიდან გვთხოვს, მადლობა გადაუხადოს ბაღის მმართველს და მის თანამშრომლებს, რადგან მისი 2 შვილიშვილი ამ ბაღში გაიზარდა, ახლა კი მესამე მოიყვანა. დიდი ჯიხაბის № 2 ბაგა-ბაღში (მმართველი ლიდა ახობაძე) ასევე აქცენტი სველი წერტილების მოწესრიგებაზე გაკეთდა. აქ ცხელი წყალიც აქვთ. შეიძინეს ახალი ლოგინები, ავეჯი, სათამაშოები. გარემონტდა სამზარეულო, დაიგო მეტლახი, კაფელი. როგორც გამგებლის წარმომადგენელმა დიდ ჯიხაბში, ნუგზარ ნუცუბიძემ გვითხრა, სარემონტო სამუშაოებისთვის სკოლის პროგრამით № 1 ბაგა-ბაღზე 16 000, ხოლო მეორე ბაგა-ბაღზე – 10 000 ლარი იყო გამოყოფილი. მეორე ბაგა-ბაღისთვის გამოყოფილი თანხიდან 6 ათასი სარემონტო სამუშაოებს მოხმარდა, ხოლო 4 ათასი – ახალი ინვენტარის შექმნას.

ბოლო განჩენა იანეთის ბაგა-ბაღი იყო, (მმართველი მედეა ბელქანია). სტუმრებმა აქაც მოინახულეს გარემონტებული სასადილო და სამზარეულო, შეძინილი ინვენტარი, კარაღები. აქაც შე-



იძინეს ჭურჭელი, სათამაშოები. აქ სულ 74 ბავშვია.

რაც ყველაზე სასიხარულოა, ყოველ ბაგა-ბაღში გასულ წელთან შედარებით აღსაზრდელთა მატებაა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია:

“ვიზუალური დათვალაშინებით რთულია თქვა, სამუშაოები რამდენად კარგად არის შესრულებული, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დავდიოდი, ვამოწმებდი, რამდენიმე აღ-

ვილას მშენებლებს შენიშვნაც მიეცია და ვთხოვე, ხარვეზები გამოეწვინათ. უულოცავთ ჩვენს პატარებს სადამზრდელო პროცესის დაწყებას, სარემონტო სამუშაოების გამო ცოტა დაგვიანდა, მაგრამ პატარები უკვე ახლად გარემონტებულ ბაღებს ესტუმრნენ. მინდა მივულოცო მუნიციპალიტეტის ყველა ბაღის მმართველს, ბავშვს, მშობელს და ვუსურვო მათ ყოველივე კარგი”.

ჩემი ძმა რამაზ თარგამაძე არის ძალიან მძიმედ ავარიის შედეგად. რამდენიმე თვე სხვადასხვა კლინიკის ექიმები ცდილობდნენ მისი ჯანმრთელობის დასტაბილურებას, მაგრამ მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდებოდა. ქალა-ტვინის ტრავმისგან მიღებულ სხვადასხვა დაზიანებებს დაერთო ინფიცირება, რის გამოც ძალიან უკიდურეს მდგომარეობაშია. ამჟამად არის აპარატულ სუნთქვაზე. საქართველოში გამოჯანმრთელების პერსპექტივა არ იყო და მოგვიწია სასწრაფოდ თურქეთში გადაყვანა (Hisar Intercontinental Hospital). მოგვხსენებთ, მკურნალობა უდიდეს თანხებთანაა დაკავშირებული, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია. უმორჩილესად ვთხოვთ დაგვეხმაროთ, მცირედიც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, რისთვისაც წინასწარ მადლობას გიხდით!

VTB (ვი თი ბი) ბანკი: GE26VT 7000 011 872 533 601
საქართველოს ბანკი: GE97BG 0000 000 574 897 500
liberty bank: GE83LB 0711 121 621 421 000
მიმღების პირადი ნომერი: 37001013093
მანონი თარგამაძე 595 789 333



მის ბიბლიოთეკას კლასიკოსთა ნაწილში წიგნები აკრებს

ნათია ნაცვლიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განმარტებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ვოგი ლეჭავაძის სამუშაო მაგიდას წიგნები ამძიმებს. წიგნიერი რესპონდენტი ნებისმიერი ჟურნალისტიკისთვის ფუფუნებაა. ვოგი ლეჭავაძის წიგნის კაცად, პოეზიის და ლიტერატურის დიდ დამფასებლად, წლებია იცნობენ. ის იმ ბედნიერ გამონაკლისთა შორისაა, ვისაც ღმერთმა დიდ კლასიკოსებთან შეხვედრა და გასაუბრება არცაა შეუძლებელი.

ჩვენი ინტერვიუც წიგნის მოყვარულთა წასაკითხად ჩაიწერა. წიგნის წაშლითხვედრები რომ აშკარად აკლია ქვეყანას, ფაქტია. გურამ დოჩინაშვილის საოცრად უზუსტად მისადაგებული ფრაზისა არ იყოს, ადამიანების სახეები შეყინული იმდენად. ეს კი იმის დამსახურებაა, პოეზიასა და სოლიდობას რომ უზრუნველყოფს და მხოლოდ ვროშაზე ვახურდავებთ ადამიანურ გრძობებს.

– ბოლოს რა წაგიკითხეთ, ბატონო ვოგი?

– ლამა თაბუკამეილის შესანიშნავი მოგონებები იჯახზე. ჩემს მაგიდაზე ახლა ბიძინა კვერცხის ოქროსი კრებული, “ხანდაზმული ვარ, ხან – არა” მიღვეს. პოეზია მიყვარს, ახლახან ელგუჯა უძილაურის ლექსებს გავეცანი, ეს წიგნი ძალიან მომეწონა. წიგნი ყველაზე დიდ და კარგ საჩუქრად მიმანია. სტუდენტობის დროს დავერგეთ, თანაკურსელები ერთ წიგნს ჩვენს ავტორს და ახრებს ვაწერდით, მერე მეგობრებს ვწუქნიდით. მოგვიანებით, კიდევ ერთხელ წიგნთან ერთად გადავიტოხავდით იმ სურვილებს და ჩანაწერებს, წიგნში რომ ვუტოვებდით ერთმანეთს. კომუნისტების დროს წიგნი არ ღირდა ძვირი.

– თუკი ახლა “სამოსელი პირველი” 30 ლარზე მეტი ღირს, წინათ კლასიკოსების წიგნებს 2 და 3 მანეთად იყიდდით... ამანაც დაუკარგა წიგნს მყიდველი...

– დიან, ასეა, ბევრი კარგი წიგნისთვის ფული არ მომჩნა. პოეზია, ძალიან მიყვარს, ამას წინათ ანზორ ზმანებამ მაჩუქა თავისი წიგნი და ვერ ბოლომდე არ წამეკითხავს. ვუბნები, რომ ძალიან რთული ენით წერს, მაგრამ რა ვქნათ ახალა, ასე წერს ეს კაცი და ჩვენ ვერ შევაცვლევინებთ სტილს.

– საყვარელი პოეტები დაგვიხსენებთ...

ყოველთვის ვამბობ, რომ “ვეფხისტყაოსანი” ქართველი კაცისთვის ბედისწერასავით არის. გადარჩებოდა “ვეფხისტყაოსანი”, გადარჩებოდა საქართველოც. როგორ იხსენებ და ხელთ წერდნენ ამ წიგნს, რა ტიტანურ შრომას ეწოდებოდა, ხალხი ამ დიდებულ საქმეს აკეთებდა, ჩვენ კი მისი გადაშლა და წაკითხვა გვეხარება, ხეობრივ კოდებს ვეძახი მე ამ წიგნს. ყველაფერია მასში: მეგობრობა, სიყვარული, სიყვარულიც, თუ ამას ჩვენს ახალგაზრდობას სიღრმისეულად შევასწავლით, ვფიქრობ, სულ სხვაანაირი ქვეყანა გახდება. სხვაგვარი იქნება ადამიანების შორის დამოკიდებულებაც. შეძლევა ვაჟა, გალაკტიონი, მიყვარს მურმანი, მუხრანი, ანა კალანდია. პოეტი რომ დაწერს: “გასრიალდება ნელი ზმორებით, მუხლებს მოიდრეკს და შიშის მგერელი, ლოცულო-

ბს გველი”. სასწაულია! ან “ლამის სახლში შემოიჭრა თუთა!” რომელი ერთი ვთქვით, ჩემო ბატონო, გავისხენით მურმანის შესანიშნავი ციკლი გალაკტიონზე “ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა” ან “წყაროზე ჩაგიყვანს და წყალს არ დაგაღვინებსო”...

– მწერლობისაკენ გამოვიხატავ...

აუცილებლად, კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე. ეს მზიანი გულის მწერალი, მისი ნაწარმოებებიდან მთელი თავების ციტირება შემოიძლია. ცუდ გუნებაზე მყოფი გადმოვიღებ ამ მწერლის წიგნებს, ვკითხულობ და კარგ განწყობაზე მაყენებს. მისი გმირები რთულ ვითარებაში რომ ცვედებიან, როგორ ცდილობენ, კაცთმოყვარეობა შეინარჩუნონ. ძალიან გამანაწივანა ამას წინათ ერთ-ერთმა ადამიანმა, თურმე ქურდულ ტრადიციებზე წერდა ეს მწერალი. რატომ იმ კუთხით არ ვხედავთ, რომ ისიც ადამიანია, მიუხედავად იმისა, დამნაშავეა, მასაც აქვს სიყვარულის უფლება.

იმერლებს გვყავს შესანიშნავი მწერალი დავით კლდიაშვილი. სერგანტეს ადარებენ მას. სკოლის წლებიდან ჩემი პედაგოგის, ქეთევან ნუცუბიძის სიტყვები მასსოვს, როგორ აღვიწერს ცრემლმორეული დიმილით ქართულ სატკივარს. ჩემმა აწ განსვენებულმა პედაგოგმა ისე შემეყვარა ქართული მწერლობა, ხშირად, როცა საზოგადოებაში ვსაუბრობ, ვერ იჯერებენ რომ პროფესიით ინჟინერი ვარ.

– საბჭოთა სისტემის გადიახლებისაგან შორს ვარ, მაგრამ უდავოდ კარგი იყო ის, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანს ზოგადი განათლება, კარგი გაგებით “დამდად” ჰქონდა.

– ოტია იოსელიანს უთქვამს, კაცობრიობას თუ რამ შეუქმნია, წიგნშიაო. გული მწყდება, რომ ახალგაზრდობას წიგნთან უჭირს მისვლა. სახლში მდიდარი ბიბლიოთეკა მაქვს, 3000-მდე წიგნია. შვილს ვუბნები, შვილო, აქედანვე თუ არ დაი-

წყე წიგნების კითხვა, მთელი სიცოცხლე არ გეყოფა-მეთქი. ამის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას ხშირად ვსტუმრობ. როგორ შეიძლება, არ მეკითხა წიგნი გენო გეგეშიძეზე, წამოვიღე წიგნი იქიდან და წავიკითხე.

– ბევრი მოქმედი პოლიტიკოსისთვის მოგიგრაფო იქ თვალი?

– ძალიან ხშირად ამბობენ, დრო არ მჩრებაო. მე, მაგალითად, კომპიუტერში თვალების ამოღებებს წიგნის ფურცელს და წაკითხვა მირჩევნია. საყვარელი მწერლების თემას მოვუბრუნებ. ჩემი ცხოვრების დევიზია და სხვთა შორის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში ამ პრინციპით ვმოქმედებდი: “არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს”. ვცდილობ, მკვდარს არ ვემსგავსო და ჩემი თანამდებობა რის საშუალებასაც მომცემს, ყველას დავეხმარო. თუცა ისიც ვიცი, რომ ყველა მადლიერი ვერ მეყოლება...

– თქვენ იმ პერიოდში იყავით მალაღ თანამდებობაზე, როცა სა-



მტრედიას კლასიკოსი მწერლები და პოეტები სტუმრობდნენ, ამ შეხვედრებზე გვიამბო...

– დიან, გასული საუკუნის 80-იან წლებში არცთუ ისე გახმაურებული, ჩუმი, წინარი და კარგი პოეტი, ანზორ აბულაშვილი გვსტუმრობდა. მას სკოლებში შეხვედრები ჰქონდა და მოსწავლეებს უკითხავდა თავის ლექსებს “წუხელის ბიჭი დაბადებულა”. ჩვენი თანაქალაქელი, ბატონი ნოდარ ადგიშვილი, უწყინარი, ლალი ადამიანი ცხოვრობდა ამ ქალაქში, საოცრად ვაფასებდი მას. ძალიან მიყვარს მისი “გიორგი სააკაძე”:

“რა ვქნა, რაც უნდა ხმა დამიყარონ, მე მაინც შენით ვიქნები საყვარაა საეჭვო ან დასაწყევლი ამ ჩემს ისედაც დაწყევლილ გზაზე. მივდივარ, მივალ, ამ ჩემს სამრეკლოს სხვამ ჩამორგოს თავისი წილი, რა იყო მაინც, რა ბედი მერგო, ვერ აგითავი შეილით და ძირით”...

ცრემლებამდე მიყვარ ამ სიტყვებს. დაიფაროს ქართველი კაცი ღმერთმა, არ იცოდეს, ვინ იყო გიორგი სააკაძე, მაგრამ თუკი არ იცნავს, მაინც ჩახედავენ მის ისტორიას საოცრად მიყვარს ასევე ზოია

ვაშკიძის პოეზია. “უფალო, შენს ხატთან დამდგარი, ვამბობ სადიდებელს ნაზარის”. – წერს ერთგან ის. ჩვენს კულტურის სახლში ჯანსუღთან შეხვედრა და პოეტის ომბახანი ხმით წაკითხული მანსოვს: “თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია”. ბევრმა იქნებ არც იცოდეს, ვინ იყო ირინა სხირტლაძე. ეს იყო პოლონეთში ფაშისტებთან მებრძოლი ქართველი გოგონა, რომელსაც ჯანსუღმა უკვდავი სიტყვები უძღვნა: “საქართველო, შენ ვინ მოგცა შეილი დასაყარავი”. ჩემი მეგობრის, ნუგზარ მიქაძის დის ოჯახი და მწერალი გურამ დოჩინაშვილი თბილისში იოსებობის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. 1991 წელს ჭირის სუფრასთან ერთად მოვხვდით, სიტუაციამ მოიტანა, ლიტერატურაზე ჩამოვარდა საუბარი. ბოლოს დიდმა მწერალმა შინ მიმიპატიუა. მას ვაჟიშვილი გარდაცვლილი ჰყავდა, შემეყვანა თავის სამუშაო კაბინეტში, ბევრი ვისაუბრეთ. სიტყვამ მოიტანა და ანა კალანდიას რამდენიმე ლექსი წარმოვთქვი. მოულოდნელად წერმილი აიღო და საქართველოს ბრწყინვალე პოეტს დაურეკა: ქალბატონო ანა, ჩემთან სამტრედიელი კაცია სტუმრად, თქვენს ლექსებს ციტირებო. ახლაც მაქვს სახლში მისი ავტოგრაფით წიგნი “იქამდე” და შედნაწერით “ბატონ გიორგის, ძმური სიყვარულით, პატივისცემით, კეთილი სურვილებით”. ეს ჩემთვის დაუვიწყარი შეხვედრა იყო. განგაცვიფრებს ამ ვებერთელა მწერლის და პიროვნების უბრალოება. სწორედ ამაშია მისი სიდიადე. მისი ყველა ნაწარმოები საოცრად მიყვარს, იქნება ეს რომანები თუ პატარა მოთხრობები. ასევე ოტია იოსელიანის, რეზო ამაშუკელის და რეზო მიშველაძის ნაწილში არ წიგნებს ვინახავ სახლში.

– თქვენს სოფელს – დიდ ჯიხაშის დიდი მისია დააკისრა ღმერთმა,

მან მისცა ქვეყანას ნივთიერი ნივთიერი. ხომ არ არის ფრაზა, რომელიც ამ ბუმბერაზი მოღვაწის ნაწარმოებიდან ხშირად გახსენდება?

– ულამობელი საქმის კაცს უწოდებდნენ ნივთიერი. მუდამ მანსოვს მისი სიტყვები: “რაც ჩემი თავი შევიცანი, მუდამ ერის და ქვეყნის სამსახურში ვარ”-ო. სიყვარულით და ერთგულებით ემსახურა იგი ქვეყანას. თუ სიყვარულით არ აკეთებ საქმეს, ის ტანჯავა. მისი ეს სიტყვები ძლიერ მომწონს.

გაღიარება
გულწრფელ მადლობას მოვასხენებ ექიმებს ნათელა ვაშკიძესა და თამარეო კვანტალიანს ჩემდამი გამოჩენილი სითბოსა და ყურადღებისათვის. ღმერთმა უმრავლეს ქვეყანას მათებრ კვალიფიციური მკურნალები.
კამო ახვლედიანი

ნაპოვდაჟით იანეთს ფეხზე!

მამიკაძე ჩელიძე

თქვა ერთმა და სოფრიდან წამოიშალნენ ლეკვეიშვილები. ფეხზე დგომით შესვენს საგვარეულო ფუძის – იანეთის საღვთო. თავი მოიწონეს, ისტორიულ ანალებში არგონაგტების შემოსვლასთან დაკავშირებით გუბისწყლისა და მდინარე ცხენისწყლის შესართავი, ასევე, სოფელი კიანეთი რომ არის ნახსენები.

ისიც იფარაუდეს, ვაზაფხულზე იებით რომ იფარება მინდვრები, იქნებ იმიტომაც შეერქვა სოფელს ეს სახელი. ქუშმა-რიტება, იანეთისადმი ძვალსა და რბილში გამჯდარი სიყვარულია. ისიც, სადაც არ უნდა იყვნენ, ყოველთვის რომ სიხარულით მოუწვთ აქეთვე ველი.

წელს, 26 სექტემბერს, უკვე მესამედ შეიკრიბა ლეკვეიშვილთა გვარი სოფელში. ტრადიციისამებრ, თავმჯდომარის ადგილი წმინდა ვიორგის სახელობის ეკლესიაშია.

ჩვენც აქ ვართ, არა მარტო როგორც მედიის წარმომადგენლები, არამედ როგორც მეგობრები. “სამტრედიის მაცნე” ერთხელ კიდევ შეეცდება, საგანუთო სტატიად აქციოს მათი ამბავი.

პატრიარქის მიერ საქართველოში არსებულ 700-ზე მეტ დალოცვილ გვარს შორის ლეკვეიშვილებიც არიან. საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი და ბიზნესმენი მერაბ ლეკვეიშვილი წინამძღოლთა საბჭოს წევრად წელს ისევ აირჩიეს, ამასთან, ის დარბაზის ფონდის თავმჯდომარის პოსტსაც ინარჩუნებს.

წირვის დაწყებამდე ყურადღებით უსმენდნენ ლეკვეიშვილები დეკანოზ დიმიტრის გარკვეული წმინდა ვიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს ერთი წლის წინ სთხოვა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარემ, გერბის შექმნაში დახმარებოდა. მამა დიმიტრიც გერბის ესკიზს აცნობდა თავის მოგვარეებს.

“მთავარია, არსებობდეს გვარის გერბი. – გვიხსნის დეკანოზი დიმიტრი. – აი, ეს იმერეთის კუთხეზე მიუთითებს. ესეც ჩვენი მფარველი წმინდა ვიორგი. გვარში ბევრი სასულიერო პირი გვყავდა და მასში ესეც უნდა იქნეს აღნიშნული. აქ კიდევ ჩვენი ტაძრის ქტიტორი... ეს ესკიზია და შედეგში იგი უფრო დაიხვეწება. გერბი ყველა ლეკვეიშვილს უნდა ჰქონდეს სახელში”. იქვე სასაამოვნო განცხადება გააკეთა უცხოეთში მცხოვრებმა თემურ ლეკვეიშვილმა: “გერბს გერმანიაში დავამზადებინებ, ემალში ჩაისმება, მაღალი ხარისხის იქნება”-ო.

ბატონი თემური გვარის შეკრებამდე პირველად. საქართველოში მორიგი საქმიანი ვიზიტი ჩამოვიდა და შესაძლებლობა მიეცა, ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა. იგი 16 წელია დაუსვლდორფში ცხოვრობს, სადაც საინვესტიციო კომპანიას ხელმძღვანელობს.

“ღორეთი ლეკვეიშვილი ჩემი ბაბუა იყო. მამაჩემი, თენგიზ ლეკვეიშვილი შურნალისტი გახლდათ. ალბათ, ყველაზე მეტი სტატია სამტრედიანზე მას აქვს დაწერილი, საქართველოს რადიოტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა, პროპაგანდის განყოფილების მთავარი რედაქტორი იყო. ხშირად იბეჭდებოდა შურნალ “ღროშაში”.

ჩემი საინვესტიციო კომპანია მუშაობს იმაზე, რაც შეიძლება, მეტი ინვესტორი შემოვიყვანო საქართველოში. “ორენ შტაინ კოპელი” ჩვენ შემოვიყვანეთ. მე კერძო ინვესტიციებს ეხელმძღვანელობ, როგორცაა ენ-

ერგეტია, გზების მშენებლობა და ა. შ. უკვე 50-მდე ინვესტორი მოვიყვანე.

ქართველის პირველი მოთხოვნაა, მიწასთან ჰქონდეს ურთიერთობა. აგარაკი ვიყიდეთ დიუსელდორფში და ყველანაირი ნერგი საქართველოდან წავიღე: ვაშლი, ატამი, კომში, ბალი, ალუბალი, ალუჩა, ტყემალი... ყველაფერმა გაიხარა. წელს მშენიერი მოსავალი გვქონდა. ბალახი რომ ბალახია, ისიც საქართველოდან ჩავიტანე. იქ პატარა საქართველო მაქვს. ჩემთან რომ შემოდიხართ, კარი იხსნება თუ არა, საქართველოს ჰიმინი ირთვება და ქართული დროშა ამ-



დარეჯან ლეკვეიშვილისა და ჩემი ინციტივა გახლდათ ლეკვეიშვილების შეკრება, რომ პატრიარქს დაელოცა ჩვენი გვარი. ყველამ დიდი სიხარულით მიიღო ეს გამოწვევა. გავერთიანდით, შევქმენით საქველმოქმედო ორგანიზაცია “ლეკვეიშვილთა საგვარეულო კავშირი”. ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება, თუ ფინანსური მხარდაჭერა იქნება.

გარკვეული მიზეზების გამო ქალბატონი დარეჯანი ვერ ესწრება შეხვედრას, მაგრამ თბილისიდან ფერეხა ლეკვეიშვილებს.

“Facebook-ზე ადმინისტრატორი ვარ. შევქმენი ჩვენი გვერდი “ლეკვეიშვილთა საგვარეულო კავშირი”. – ხუთი წელია, ვაერთიანებ ჩემს გვარს ქვეყნის მასშტაბით. არა მარტო ვაზიარებ, ვამაყობ კიდევ ლეკვეიშვილების წარმატებებით სხვადასხვა სფეროში.

წელს, ღონისძიების ერთ-ერთ დიდ ტაძარში გაიჭურა თეკლე ლეკვეიშვილის გვარმა. იგი ექიმად აკურთხეს. დიდი სიხარულით გაეზიარე დედის, ცისმარის ეს ბედნიერება. მან დამირეკა და მისი შვილის ექიმად კურთხევის ამსახველი ვიდეოფირი გამომიგზავნა. თეკლე კობა ლეკვეიშვილის ქალიშვილია.

დიდი სიყვარულით სავსე მოთხევა დამაბარა გენერალმა ომარ ლეკვეიშვილმა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ჩამოვიდა დღეს ის აქ.

ბედნიერი და გახარებული ვარ, იანეთში ისევ რომ მოვიყვართ თავი

ლეკვეიშვილებმა სხვადასხვა ქალაქიდან. შეგონება მაქვს, რომ ისინი ჩემი დედამამიშვილები არიან. ვამბობ კიდევ, ბევრი ჭირისუფალი შევიძინეთქო.



მე თქვენ მიყვარხართ, ლეკვეიშვილებო!”

“ჩემს საქმიანობას აი, ასეთი მოპირკეთება შეადგენს, – გვეუბნება ბატონი აგაი ლეკვეიშვილი და ტაძრის კედელს ხელი გადაუსვა”. აქ ჩამოსვლაზე თავს არავინ ვიკავებთ, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოვეშურებითო, ბრძანა.

საუბარში გვერთვება “საქართველოს რეინგზას” თანამშრომელი რეკავს ლეკვეიშვილი: “ყოველთვის შევიკრიბებით, ოჯახიდან ერთი ადამიანი მაინც უნდა იქნეს წარმოდგენილი. რადგან ამხელა ტაძარი აგვიშენა ამ კაცმა, აუცილებელია, ყველა ლეკვეიშვილი ერთი დღე გამოიხსოს, მოვიდეს და დაესწროს ლეკვეიშვილების გვარის ზეიმს. დაახ, მე ზეიმს დავარქმევდი!”

ამ შეხვედრითაც არ ვიფარგლებით, ჩვენ სხვა დროსაც ვპოულობთ ერთმანეთსო, – დიმიტრი გვიდასტურებს გოდერძი ლეკვეიშვილი.

მთავარია, ჯანმრთელობა იყოს და შეკრების სურვილი ყოველთვის გვე-

ხელ გვიამბნია. პოლკოვნიკ თემურ ლეკვეიშვილს ამჯერად მეუღლე, ქალბატონი ნანული რამიშვილი ახლდა თან.

“ამგვარი შეხვედრები უფრო აახლოვებს გვარის წარმომადგენლებს, გარკვეულ სიბოძის ბალებს ერთმანეთისადმი და დადებით განწყობას ქმნის. მნიშვნელოვანია, რომ წმინდა გი-

ორგის ხატის დაბრძანება ოჯახებში გრძელდება.

სამწუხარო ის არის, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ყველამ რომ ვერ მოახერხა მოსვლა. რამდენადც ვიცი, სურვილი ყველას აქვს. – აღნიშნა ბატონმა თემურმა.

ქალბატონი ნანული არასამთავრობო ორგანიზაციის – პედაგოგთა კავშირი “განათლება და სამყაროს” დამფუძნებელია. კმაყოფილია, გვარისა და ქვეყნისთვის ასეთ მნიშვნელოვან შეკრებაზე დასწრების შესაძლებლობა რომ აქვს. ჩვენთან საუბარში რამდენიმე სიტყვით იგი ორგანიზაციის საქმიანობასაც შეეხო: “საგანმანათლებლო პროექტებს ვახორციელებთ. სხვათა შორის, საპატრიარქოსთან გვქონდა შეხება. საგვარეულო ძირისა და გენეტიკის შესწავლასთან დაკავშირებულ პროექტზე ვმუშაობდით. თითოეულმა ბავშვმა, თითოეულმა მემკვიდრემ უნდა იცოდეს, საიდან და როგორ მოდის მისი ფუძე. ამ კვლევადიებაში იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები. რაც უფრო კარგად იცი შენი გვარის ისტორია, ვინ ხარ ზოგადად და რა უკეთებია შენს გვარს შენი ქვეყნისთვის, ეს უფრო მეტად გაახლოვებს შენს ქვეყანასთან, ბრძად



ქნებაო. – ასევე ის ორი ლეკვეიშვილი, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელი.

ერთიც, როცა ლეკვეიშვილს სახელს ეკითხები, აუცილებლად მამის სახელსაც ამბობს, სახელმოზიარებში რომ არ შეგეშალოს. იმ შეხვედრაზეც ორი თემურ ლეკვეიშვილი ეწვია იანეთს. ერთი, რომელიც უკვე გავაყვანივით მკითხველს და მეორე, რომლის შესახებ გასულ წლებში არავით-

კი არა, შეგნებული სიყვარულით გაკავშირებს მასთან. საერთოდ, რელიგიური, სულიერების აღქმა ძალიან ძლიერი ძალაა. თუ ჩვენ რამე გადაგვარჩენს ამ გლობალიზაციის პერიოდში, სულიერება, ერთად დგომა, მით უმეტეს, როცა ვეროპისკენ მივასწრაფით”. ყველაზე უმცროსი ლეკვეიშვილი ამჯერად შეხვედრაზე ფარცხანაყანებიდან ჩამოვიყვანეს. ბაბუის მოსახე-

ლე გრიგოლ ლეკვეიშვილი თეთრ ჩოხაში ქართველობის სიმბოლოდ წარსდგა. "სხვათა შორის, ჩემი ბებიაც ასათიანის ქალია. - გვეუბნება გრიგოლის ბებია ირმა ახვლედიანი. - მიყვარს ლეკვეიშვილების გვარი, ჩემი გვარიც და მთლიანად მთელი საქართველო. სიყვითლე და სიყვარული არ მოაკლოს ღმერთმა ჩვენს ქვეყანას!"

ბატონი ლევან ლეკვეიშვილი თავს ვალდებულად თვლის, იანეთში ჩამოვიდეს, ეკლესიაში სანთელი დაანთოს, თანასოფლებლები მოინახულოს. "წელიწადში ერთხელ ყოველთვის ვახერხებ მოსვლას. 1-ლ კლასში იანეთში ვსწავლობდი. მამაჩემმა პარტიული სკოლა რომ დაამთავრა, ქობულეთში გადაიყვანეს სამუშაოდ, მეც იქ მომიხდა სწავლის გაგრძელება. მსაძაღვებს იმის გასწავლება, რომ ჩემი წინაპრების სოფელში დავდიოდი სკოლაში". - გვეუბნება ბატონი ლევანი, ბათუმის სანიტარიული დასუფთავების სამსახურის უფროსი.

აირჩიეს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს წევრად. აქტიურად თანამშრომლობს განეთში "გვარი და ტრადიციები". სპორტივო მასალებზე დაყრდნობით, ცდილობს, თავისი გვარის წარმომავლობის შესახებ უტყუარი მასალები მოიპოვოს.

"სამი ლეკვეიშვილის იქით ვერ წავედი, ცნობები არ არსებობს"-ო, და ფიქრობს, როგორმე დნმ-ის ანალიზით დაამტკიცოს, სინამდვილეში ასათიანების შთამომავლები რომ არიან.

ლეკვეიშვილების შეკრება წარმოუდგენელია ადვოკატ ბატონი ირაკლი ლეკვეიშვილის გარეშე. ის ყოველთვის მძის, ბატონი მერაბის გვერდით დგას, ისევე როგორც საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის შვილი, გოგა, საქართველოს ტექნიკური



"ძალიან მაგარი კაცები ჰყავთ ლეკვეიშვილებს. მართლა კარგები არიან! - ღიმილით გვარწმუნებს ბატონი ლევანის მეუღლე, ქალბატონი მაგალი ხელაია. ხასიათი, ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობის გრძობა აქვთ, კარგი მამები, ბაბუები და მეუღლეები არიან. ჩემი მეუღლის, ჩემი ოჯახის სიხარული საერთო სიხარულია და მეც სიამოვნებით მოვიდივარ აქ".

ნანა ლეკვეიშვილი წელსაც ქალიშვილთან, ნინოსთან ერთად ჩამოვიდა თბილისიდან. ის პროფესიით ოფთალმოლოგია და საკუთარი თვალის კლინიკა აქვს. შეიქმნა დედის პროფესია აირჩია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქირურგის სპეციალობას ეუფლება. მარმან პირველად იმყოფებოდა ქალბატონი ნანა შეხვედრაზე და ბევრ თავის მოგვარესაც პირველად შეხვდა. აღფრთოვანებას ვერც ახლა მალავს: "ამ ერთ წელიწადში კიდევ მეტი ლეკვეიშვილი გავიცანი. ძალიან საყვარლები არიან. გული მტკივა, ამდენ ხანს რომ არ ვიცნობდი მათ. მე ნათესავები ვიპოვე და არა მარტო მოგვარეები. თბილი, ტკბილი, პატიოსანი ადამიანები არიან, რაც დღეს იშვიათობაა".

საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, ბატონი მერაბი, წელს ისევე

უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის სტუდენტია.

ბავშვური ღიმილი და სიხალისე შემოიტანეს მამა იაკობის შვილებმა. მარკოზი, აბო, მარი და მართა დედასთან, ქალბატონ ნინოსთან და ბებია-სთან, ქალბატონ სვეტლანასთან ერთად მოვიდნენ ტამარში.

მართალია, ქალბატონმა ფლორამ ვერც ახლა შეძლო იანეთში მოსვლა, მაგრამ არც ერთი შეხვედრა არ ჩაივლის მისი მეუღლის, ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის გარეშე. მაღლობა უთხრეს გვარის რჩეულ სიძეს იმ სიყვითლესთან, თანადგომისა და სიყვარულისთვის, ლეკვეიშვილების მიმართ ყოველთვის რომ ამჟღავნებდა.

თამარ კამკამიძე კიდევ ერთი რბალი იყო, საგვარეულო შეხვედრაზე სიამოვნებით რომ მოვიდა მეუღლესთან, თამაზთან ერთად. "სახალხო აფთიაქის" ყოფილი მენეჯერი ექვსი შვილიშვილის ბებიაა და სამსახურს მან მათზე მზრუნველობა არჩია. "ეს დღე მარტო იმით კი არ არის კარგი, ერთი გვარის წარმომადგენლები რომ ხვდებიან ერთმანეთს, არამედ ისეთი თბილი და ტკბილი შეხვედრები და ერთობა აქვთ, მთელ საქართველოს რომ სჭირდება. ასეთი დღეებს ნუ დაგვიღვეს ღმერთი!"

სუფრა მოგვარეთა შეკრების აუცილებელი ატრიბუტია. ლეკვეიშვილთა ენამზობა, ინტელექტი, ერუდიცია, რაფინირებული ინტელიგენტობა აქ კიდევ მთელი სისავსით იჩენს ხოლმე თავს. საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე სუფრასაც წარუძღვა. მოგვიანებით კარლო ლეკვეიშვილს, რომელიც ძალიან აყვავდა იმ დღეს, ტელეფონით შეეხმიანნენ და რთული ოპერაციის გადატანის შემდეგ გამოჯანმრთელება უსურვეს.

შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა, ბეჟან გოგიაშვილს იფორმაციული "ლადი" განსაკუთრებული გახდა ლეკვეიშვილთა საგვარეულო შეკრება.

ქართველებს რა წაგვაქცევსო, - აღტაცება ვერ დაფარა გოგობიჭვების ნამღერით მოხიბლულმა მსმენელმა. ბევრი ტაში და ოვაცია დაიმს-

ახურეს მათ. მომღერლებს ხმა და სიმღერა შეუქქეს, პატარა ვირტუოზებს - ხალხურ საკრავებსა და ვიოლინოზე შესრულებული მუსიკალური ნიმუშები. დაინტერესდნენ ჯგუფის შექმნის ისტორიით და მათ ხელმძღვანელს იდეა და შრომისმოყვარეობა მოუწონეს.



ისე როგორ წავიდე სამტრედიდან, სამტრედიანე სიმღერა არ მოვიხმინო, ნატვრა "ლადიმ" აუხდინა ნანა ლეკვეიშვილს. უმეტესობამ ანსამბლის მეშვეობით იმ დღეს პირველად მოისმინა დავით თორაძისა და

პეტრე გრუზინსკის მიერ შექმნილი "სიმღერა სამტრედიანე".

ჯგუფის მუსიკალური ნიმუშებით აღფრთოვანებულმა თეიმურაზ ლეკვეიშვილმა საინტერესო წინადადება შესთავაზა ფოლკ-ჯგუფს: "სამტრედი კოლექტივები მიმყავს გერმანიაში. იქ კონცერტებს ვატარებთ, რითაც ჩვენი ქვეყნის პროპაგანდა უწყობთ ხელს. თუკი სამტრედიანე ასეთი რამ არსებობს, როგორ შეიძლება ქვეყნის გარეთ არ გავიტანოთ?! მე თქვენ დიუსელდორფში 800 კაციან საკონცერტო დარბაზს ვპირდებით. ასეთი მონაცემების მქონე ბავშვებს ხელშეწყობა და განვითარება სჭირდებათ".

ქალბატონმა ნანული რამიშვილმა კი ყველასთვის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირება გააკეთა: "უწვევით ეს ბავშვები მსოფლიოს და არასოდეს იქნება ომი. როგორც აქ ითქვა, გერმანიაში გიწვევენ. გერმანელები მოგისმენენ და აღმოგაჩენენ თქვენ, აღმოგაჩენენ თქვენს ხმას, თქვენს სულს. წარმატებები თქვენ!"

დეკანოზმა დიმიტრიმ საგვარეულო ტაძარში დალოცა ლეკვეიშვილები და წმინდა მიწიდან ჩამოტანილი ზეთი სცხო მათ. ტრადიციულად დაღუპული მამა იაკობის საფლავზეც სწირა და უფალს მისი სული შეავედრა.

ერთმანეთი არ ეთობოდათ ლეკვეიშვილებს იმ ღამეს დღეს, მათ საგვარეულო ისტორიაში ერთი ფურცელი კიდევ გაჩნდა - სიყვარულით სახე ფურცელი.

"ფრანგული შანსონი" ღიზნის თაროზა

უკვე წინის თაროებზე გამოჩნდა ჩვენს თანაქალაქელი ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანების კრებული "ფრანგული შანსონი". ბაჩანა ჩაბრაძე საფრანგეთში ცხოვრობს და მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. ავტორის სამწლიანი მოღვაწეობის შედეგი უკვე სახეზეა.

"ბრასენსი, ფერე, ბრელი, გენსბური და ვიანი ქართულად!" - "ინტელექტმა" გამოსცა ჩემი თარგმანების კრებული "ფრანგული შანსონი".

მასში წარმოდგენილი თარგმანები შანსონისადმი ჩემი ხანგრძლივი სიყვარულის ნაყოფია. ძალიან მინდოდა, ეს გრძობა ქართველი მკითხველისთვის გამეზიარებინა და ჩვენს ენაზე მოგვესმინა ხუთივე ეს ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებელი". - წერს პოეტი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

"ფრანგული შანსონი" უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ "შექსპირი და კომპანიაში".

ნათია ნაცვლიძე



ხელაპყრობილი ხეების ლანდი ჩუმად იჩოქებს სოფლის შარაზე, შეხე, ზაფხული პეპელას ბაგით როგორ ემთხვევა ყვავილს კაბაზე. მზემ გაიხმორა ქალიშვილივით, რომ გაწოლილა ახალ მთვარეში, გამოეღვიძა უცებ ალვას და ცად გაეკიდა მერცხალს ჰაერში...
დილა
დილა პატარა გოგოსავით გარბის ქვიშაზე, თითქოს ბალახებს განმორებად თუ შეეხარდა?... როგორ უხდება, როგორ უხდება ჭრელი პეპელა, თავზე ბაბთად რომ შეეკანძა...
ღამე
არ არის ღამე და მელიღობა სახლში არავინ, მხოლოდ ოთახი ცარიელი, სახე ფიქრებით, ცივი საწოლი და დედის შეკერილი თბილი ბალიშები, რომ აუვსია ტკბილი სიზმრებით...

ამ ღამის ღრუბელს გაქცევა თითქოს პატარა შვილი, ატირდა, ექებს, მისდევს დედა აცრემლებული...

მოდის მერცხალი კულხე მიბძული გრძელი მაკრატლით, ოღნავ ცივი და დასველებული. ახალშობილის სათნი ღიმილად მხეს გამოუჭრა ოღნავ ღრუბელი... რა იყო გუშინ, ჭრელი ოფოფიც თავზე საგარცხლით, ცა მოუწყობი, დანგრეული და ნაზამთრალი, ავარდა უცებ სადალაქო ჭრელი ხალათით და გადავარცხნა ცაზე ავდარი.
ნათია ნაცვლიძე

დაუფინსარი დილა

შპს-ის ახიარებასთან დაკავშირებით 14 (12-12 საჯარო) სკოლის მოწვეული დირექტორის, რეაგირების დამსახურებული კლასიკოსი, ქალბატონი შუშანა ქართველიშვილის სტრატეგია.

ბავშვობა და დილის ცისკარი თითქოს ერთმანეთთან ასოცირდებიან. დილა უნდა შეიგრძნო დილის ნიავით, დილის სუსხით, წელიწადის დროსთან და ადამიანებთან კავშირში, ვისთანაც გიხდება ურთიერთობა, მგზავრობა, სწავლა, მეგობრობა. არ მავიწყდება ერთ-ერთი დილა, როცა სკოლისაკენ მივემართებოდი მოსწავლეები, დაწყებული ახალსოფლიდან, ძველი სამტრედიიდან, ეწრიდან, მელაურიდან და ხალისიანად მიუყვებოდით კიროვის ქუჩას (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი). ძველი სამტრედიიდან კლარა ცეტკინის ქუჩიდან მობრძანდებოდა ჩვენი ამიერკავკასიის № 14 საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი შუშანა ქართველიშვილი და ჩვეული ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა სკოლისაკენ მიმავალ გზას. სულგანაბული მიუყვებოდით წინ გასწრებას ვინ აკადრებდა. როგორც კი სტურუების დასახლებას მიუყვებოდით, თავისი "ტრანსპორტით" მათემატიკის მასწავლებელი, ძველი სამტრედიელი საშა გელიშვილი წამოგვეწვია, დაინახა თუ არა სკოლის დირექტორი, ველოსიპედიდან ჩამოვიდა, მოწინააღმდეგეობით მიესალმა ქალბატონ შუშანას და უთხრა: "თუ შეიძლება უკან მოიხედეთ". დირექტორი თვალგაბრწყინებული შემოგვცქეროდა მოსწავლეებს, რომლებიც უდიდესი პატივისცემის ნიშნად ვიდრეც მის წინაშე და არც ერთი არ ჩქარობდა ნაბიჯის მოცვლას. "გმადლობთ, მეგობრებო, შეგიძლიათ წაბრძანდეთ!" – მოგვემართა მან.

მოსწავლეთა დიდი კოლონა სკოლისაკენ დაიძრა სიხარულით, სიყვარულით, სიამაყით და ხვალისდელი დილის იმედით. კარგა ღამაზად გათენებული, დამშვიდებული დილა. მას მოაქვს სასურველი ოცნებები, იმედები და მოგონებები.

ნათია ბელიშვილი

7 წენა, ხომესაც ბავშვი დილობაშიც ახ ჰკითხვს მშობლებს

სამწუხაროდ, არსებობს ისეთი რამეები, რასაც ადამიანები ვერასდროს პატიობენ მშობლებს და ბავშვობის წენა გაცილებით მეტხანს ამხსოვრდებათ, ვიდრე ათასი ამაგი და სიყვითე. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ახლობლების მიერ ბავშვობაში მიყენებული წენა მთელი ცხოვრება რჩება. მაინც რა სწევით ბავშვებს ყველაზე მეტად და რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება?

როცა მშობელი შვილებს არჩევს ეს ის გულისტკენაა, რომელიც სამუდამოდ რჩება ადამიანს და მის ფსიქოლოგიურ ღირებულებას ახდენს. ხშირად ხდება, რომ დედას თუ მამას (ან ორივეს ერთად) გამოეჩვენება უყვარს რომელიმე შვილი და მის ფონზე მეორეს ჩაგრავს. შეიძლება, სიყვარულით არც უყვარს მეტად, მაგრამ ყოველთვის ისე იქცევა, რომ ასეთი ფონი იქმნება. ასეთი რამ ადამიანს არასდროს ავიწყდება და ის ყოველთვის გულნატკენია მშობლებზე იმის გამო, რომ ნაკლებად უყვარდათ.

ბავშვის აზრის უზღვრულობა

ბევრ ოჯახშია ეს პრობლემა, როცა მშობლები არანაირად არ თვლიან საჭიროდ, ბავშვს ჰკითხონ აზრი რაიმეზე, თუნდაც მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მის აზრს პატივს არ სცემენ, ხშირად დასცილიან და ამცირებენ. "კიდევ რა გინდა?", "ისე იქნება, როგორც მე ვამბობ", "შენ ვინ გეკითხება?" – ასეთი გამოთქმები და დამოკიდებულება უკვე გაზრდილ ბავშვებს დიდხანს ახსოვს.

უსამართლობა

ესეც ხშირი პრობლემაა. ხშირად მშობლები უსამართლოდ სჯიან ბავშვებს იმ საქციელისთვის, რაც არც კი ჩაუდენიათ. ან ისეთი საქციელისთვის, რაც მინიმუმ – სასჯელს არ იმსახურებდა, მაქსიმუმ კი (დაახლოებით) შეშინებდა (არის) – ვიდრე ღირსი იყო. უსამართლო და დაუმსახურებელი ბრალდებები და სასჯელი მთელი ცხოვრების გულისტკენად რჩება.

ღალბა და ტყუილი

რასაც ბავშვები ვერასდროს ივიწყებენ – ეს არის ახლობელი ადამიანის ღალბა. ბავშვის სანუკვარი საიდუმლოს სხვებისთვის გამხელა, სხვათა ინტერესების ბავშვზე წინ დაყენება, პირობის დარღვევა – უფროსების ასეთი საქციელი ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს და მშობლებისადმი პატივისცემას უქრობს. ასევე ტყუილი – თუნდაც, კარგი განზრახვით – რომ ბავშვს დაუმალონ რაიმე სამწუხარო თუ უსიამო ფაქტი, თითქოსდა მისი ტრავმირების თავიდან ასაცილებლად. თუმცა ბავშვს თურმე ამგვარი რამეები ძალიან წყინს.



გულგრილობა

"რაც გინდა, ის გააკეთე, სულ ერთია", – მშობლების ასეთი დამოკიდებულება არანაკლებ საწყენია, ვიდრე გამუდმებული აკრძალვა და დიქტატი. გულგრილობა, ზედაპირული და გაუცხოებული დამოკიდებულება შვილის მიმართ, სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი შეიძლება გახდეს, რაც მასზე სამუდამო დაღს დატოვებს.

სხვათა უფარება

ბევრმა მშობელმა იცის ბავშვის შედარება მის და-ძმასთან თუ სხვასთან, მშობლის გადასახედიდან უფრო წარმატებულ ბავშვთან. ბავშვს უყალიბდება განცდა, რომ მას ყველა ჯობია, ის ჩამორჩენილი და გარიყულია. ამ წენას, ამ მუდმივ შეჯიბრს და დამცირებას ის ვერასდროს ივიწყებს. ამიტომ ჯობს, ხშირად შეაქოთ, წაახალისოთ.

"მე უნდა არ მჯობრდებოდეს"

ძალიან ხშირად მოსიყვარულე მშობლებიც დიდ შეცდომას სჩადიან, როცა გამუდმებით ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ არ ჯერათ თავიანთი შვილების და მათი შესაძლებლობების. "შომეცია, ჯობია, მე გააკეთე", "შენ მაინც არ გამოგია", "როგორ არაფერი გამოგდის, ვის სჭირდება ასეთი უგერგოლი" – ეს ის ფრაზებია, რომლებიც გამუდმებით რჩება ბავშვის მეხსიერებაში და სერიოზულ გავლენას ახდენს მის შემდგომ ცხოვრებაზე.

მიზეზი ბევრია, რითაც გულს ვტკენთ ხოლმე ბავშვს, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი მალე ავიწყდება პატარას, უკვალოდ ქრება. ზოგიერთი კი დიდხანს ამხსოვრდება. მშობლებმა ყოველთვის უნდა იფიქრონ, მათი რომელი ქმედებები, სიტყვები და ემოციები (თუ უემოციობა) შეიძლება აღმოჩნდეს მტკივნეული და სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმაც კი, რასაც შვილი არასდროს დაივიწყებს.



სამტრედიელი კარატისტები კვლავ იმარჯვებენ

წარმატებით ცნობილი სამტრედიელი კოეფიციენტი 25-26-27 სექტემბერს თბილისში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატში "კავკასიის თასი – თბილისი 2015"-ზე თავი ისახელეს. ისრაელის, სომხეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ყაზახეთის, საბერძნეთისა და საქართველოს კარატისტებს შორის საქართველოს ნაერებში მიწვეულმა სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტაია) კარატეს ჯგუფის წევრებმა საპროზო ადგილები მოიპოვეს. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ქალებს შორის თამარ ბიბილიაშვილი და მამაკაცებში აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ავთანდილ არველიაძემ მე-2 საპროზო ადგილები დაისაკუთრეს. მარგო სტურუა და ავთანდილ მეგენიშვილი კი, მე-4-მე-8 ადგილებზე გავიდნენ.

თამარ ბიბილიაშვილსე გადაეცა თასი ნომინაციაში "სწრაფვა პირველობისკენ". სენსი მიხეილ ქანთარია აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, 24 ოქტომბერს გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მიდიან, მაგრამ მზადება 2016 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის უკვე დაიწყო სამტრედიელმა კარატისტებმა.

სამტრედიის ახალი



ფიჭვის ნაყენი – ბიონიკის, ხველებისა და ასთმის სამედიცინო

ფიჭვის წიწვი არა მხოლოდ უამრავ ვიტამინებს (C, B1, B2, P) კაროტინს და ეთერზეთებს შეიცავს, არამედ გამოავს ორგანიზმიდან რადიონუკლიდები, მძიმე მეტალები და სხვა მავნე ქიმიური ნივთიერებები. ამის გარდა, ფიჭვის წიწვი ეფექტურია ბრონქიტის, ხველების სამედიცინოდ და ასთმის პროფილაქტიკისთვის.

ნაყენის დამზადება:

4 ს.კ. ფიჭვის წიწვს დაასხით 1 ჭიქა ალუბელი წყალი და ალუბეთ 20 წუთი. შემდეგ გააციეთ და გაწურეთ. მიიღეთ მცირე პორციებით მთელი დღის განმავლობაში, თანაბარი დროის მონაკვეთში. ასეთი ნაყენის მიღება შეიძლება 3-4 კვირის განმავლობაში, შემდეგ შეისვენეთ და საჭიროებისამებრ გაიმეორეთ.



პირველი მერცხლები

ყოველი ადამიანისათვის სექტემბერი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ასოცირდება და გამონაკლისი არც სპორტის მუშაკები არიან. ამ სახეიმი დღეს ქალაქის საჯარო სკოლებს შორის საფეხბურთო ტურნირის ჩატარებაც მიეძღვნა. ამიტომაც ისინი სასწავლო წლის პირველ მერცხლებად მონათლნენ. შეჯიბრება 28 სექტემბერს დაიწყო და მასში 6 საჯარო სკოლის 2004 წელს დაბადებულმა და უფრო უმცროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. კერძოდ, ქალაქის №1, 2, 3, 10, 11 და 12 სკოლებმა. მათ დირექტორებსა და სპორტის მასწავლებლებს: ხათუნა ფაილაძეს და მალხაზ მხეიძეს, თეა კარტოზიას და უშანგი ნიკოლეიშვილს, ვენერა ივანიშვილს და გიორგი პაპავას, მაცყალა თევზაძეს და ალექსანდრე ჯალაღანიას, ლენა ხაჭალას და გიორგი ცინცაძეს, ხათუნა თელიას და თამაზ ხაფავას ვულოცავთ სასწავლო წლის დაწყებას და მადლობას ვუხდით ტურნირში მონაწილეობისათვის.

კენჭისყრის შედეგად თითოეულ გუნდს მიენიჭა პირადი ნომერი და შეჯიბრება დაიწყო წრიული სისტემით ერთ წრედ. ხუთდღიანი ორთაბრძოლების შედეგად გამოიკვეთა უკეთესი მომზადებული გუნდები და ნომინაციების საუკეთესო ფეხბურთელები. დაუმარცხებლად განვლო ყველა შეხვედრა ქალაქის №3 საჯარო სკოლის მინი ფეხბურთელთა გუნდმა და 15 ქულით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი, მეორე ადგილზე 9 ქულით №12 საჯარო სკოლის ფეხბურთელები გავიდნენ, ხოლო მესამეზე ქალაქის №10 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ნომინაციებში კი საუკეთესოდ მეკარე ამირან მანაგაძე და მცველი ირაკლი მელქაძე აღიარეს. ორივე №3 საჯარო სკოლა, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი №12 საჯარო სკოლის მოსწავლემ, ჯემალ ჩაჩუამ მოიპოვა, საუკეთესო ბომბარდირი 8 გოლით №2 საჯარო სკოლის მოსწავლე მიხეილ გერაძე გახდა.

პირველ და მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები და ასევე ნომინაციებში გამარჯვებული ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ, სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის სივლეებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რამაზ თიქია
პირველმხარე სპორტული სკოლის
პროდინსატორი



სამტრედიელ მოჭადრაკეთა წარმატება ბაღდათში

3 ოქტომბერს ბაღდათში გაიმართა მირიან ენდელაძის სახელობის ერთდღიანი საჭადრაკო ტურნირი. მონაწილეობას იღებდა 160 მოჭადრაკე. მათ შორის სამტრედიელი მოჭადრაკეებიც.

8 წლამდე გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო და 7-დან 6 ქულით ჩემპიონი გახდა მარიამ გოთოშია. მეორე ადგილი 10 წლამდე გოგონათა შორის ნინო მეფარიშვილმა დაიკავა. 12 წლამდე ჭაბუკთა შორის კი მეორე ადგილზე მათე შენგელია გავიდა.

აბსოლუტურ მთლიანობაში შორის მეორე ადგილზე გავიდა სამტრედიელი მწვრთნელი ბესო ლეჟავა. ვულოცავთ ამ წარმატებებს ბესო მასწავლებელსა და მის შეგირდებს!

ბულიკო ბიბიძე



ფინალი დაბადების დღეზე

სპორტული ტურნირებით განთქმული გომი სპორტული რიტმიდან კვლავ არ ვარდება. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა მათგანის დაარსების მიზნები გარდაცვლილთა ხსოვნის უკვდავყოფაა.

ამჯერად ფრენბურთი თამაშის გომის საჯარო სკოლის მოედანზე. იმ დღეს ფინალური შეხვედრა გახლდათ ტურნირისა, რომელიც ამერიკიდან გომის საჯარო სკოლის ხსოვნის უკვდავყოფად მოწვეულად გაიმართება გომის თემში. ერთმანეთს დაბლა გომის და ღობიროს უბნის გუნდები დაუპირისპირდნენ. ტურნირის, რომელიც თავიდან 6 გუნდი მონაწილეობდა, გამარჯვებული ღობიროს გახდა. დაჯილდოებისას გომის თემში გამგებლის წარმომადგენელმა ზაზა ნიკოლეიშვილმა და მაჟორიტარმა დავით ამაღლობელმა კიდევ ერთხელ მოიგონეს ახალგაზრდა, წარმატებული სპორტსმენი, კარგი ადამიანი, მეგობარი და თანასოფელი. ასეთად ახსიათებდნენ მას არა მარტო სოფლის თავკაცები, არამედ ყველა, ვინც იმ დღეს იქ შეიკრიბა და მას იცნობდა. იქ კი, მისი თანასოფელების გარდა, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავიცივილი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბეჟან გეგეშიძეც გახლდნენ. ბეჟან გეგეშიძე გომის მკვიდრია. იგი პირადად იცნობდა ახალგაზრდა სპორტსმენს, რომელიც გულისტკივილით მოიგონა.

გომიდან ნიკურაძის გარდაცვალებიდან, ქალაქი რომ შესძრა, დიდი დრო არ გასულა. ეს ჯერ ისევ ცხელი ჭრილობაა მისი მეგობრების, თანაგუნდელების და ახლობლებისთვის. იგი სამტრედიის ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ, საკუთარი გუნდის წარმატებებით ცხოვრობდა. გომის თემში გამგებლის სპეციალისტი და გომის ბავშვების მეგობარი, ჯონი თევზაძე გულისტკივილით იხსენებდა და ამბობდა: “ძალიან დასანანი მისნაირი ადამიანების დაკარგვა. განგებას ვერსად გავუქცევით, მაგრამ... ამ ფორმით გადავწყვიტეთ გომის ხსოვნის უკვდავყოფა. მის თაობას, ალბათ, არასდროს დაგვავიწყდება ბავშვობის მეგობარი, მაგრამ ასე ჩვენზე უმცროსი თაობებიც გაიხსენებენ მას. იგი ხელბურთელი იყო, მაგრამ ჩვენ ფრენბურთის ვითამაშობთ მის სახელზე. იმით, რომ ხელბურთის მთლიანობა ვერ შევკრიბეთ გომის თემში. თუმცა, მთავარი, რა თქმა უნდა, ხსოვნაა.”

იმ დღეს გომიდან ნიკურაძის დაბადების დღე გახლდათ. საფინალო შეხვედრა ამიტომ დაამთხვავეს. “დღევანდელი დღე განსაკუთრებული ყოველთვის იყო ჩემთვის. ამერიკიდან დიდი ტკივილით მოსაგონარი გახდა. დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა. 25 წლის გახდებოდა. მადლობა ყველას ამ დღის ამგვარად აღნიშვნისთვის.” – ცრემლს ვერ მალავდა გომის მამა მალხაზ ნიკურაძე.

თასი გომიდან ნიკურაძის სახელობისა, მისი დაბადებიდან 25 წლის თავზე მის საფლავზე აიტანა გამარჯვებულმა გუნდმა და მისმა მეგობრებმა, ახალგაზრდა კაცის მოსაგონრად გულით სათქმელ შესანდობართან ერთად.

თაბაგაშვილი

მალე წავალ და...



წავიდა ამ სამზეოდან მალაქალიფიციური ინჟინერი, “რეინიგნის ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი”, “საპატიო რეინიგნელი” წარსულში აქტიური სპორტსმენი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბატონი

პლატონი შილაკაძე

დღეაქალაქში სხვადასხვა დეპოში იმუშავა ინჟინრად, მთავარ ინჟინრად, დეპოს უფროსის მოადგილედ. პენსიაზე რომ გავიდა, მშობლიურ სამტრედიას დაფუძნდა. ხშირად სტუმრობდა იმ ადგილებს, მშობლიურ ხიბლარს, სადაც მისმა არცთუ განებივრებულმა ბავშვობამ და სიმამრის გუნდმა განვლო.

რედაქციაშიც ხშირად გვსტუმრობდა, იხსენებდა კულამის სკოლაში გატარებულ მოწვეულობის ხანას, გახეთის ერთგული მეთიხველი ხანდახან ციქნა კორესპონდენტ-იებსაც გვაწვდიდა, რომლებიც ყოველთვის პრობლემურ საკითხებს ეხმებოდნენ.

წლის ამ დროს დაბადების დღეს ვულოცავდით...

წელს კი...
 ნათელში იყოს!

ლევან ბაგრაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაუგრძობს საკრებულოს წევრს ტარიელ თევზაძეს შვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს ტარიელ თევზაძეს

შვილის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძობს ქეთევან ნიკურაძეს

ღვინის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძობს ედიშერ კოპალიეშვილს

ღვინის

გარდაცვალების გამო.

ახნივები ეავკასიიდან

თუ სიმღერით კარგ განწყობას გიქმნით "ლადი", ჩვენი მხატვარ-კარიკატურისტის, შოთა პაპავას ეს შარუებიც სასიამოვნო ხასიათზე დაგაყენებთ. ანრი, ლუკა, გიორგი, ჟანა, გვანცა, მარიამი, ღათო, ირაკლი, რამაზი, მარი - მათ კარგად იცნობს მსმენელი. შეგახსენებთ, რომ ფოლკ-ჯგუფი 19-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით, კავკასიის ფესტივალების საერთაშორისო ასოციაცია ევროპის საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ფესტივალ-კონკურსში "არწივები კავკასიიდან" მიიღებს მონაწილეობას. ანსამბლი გერმანიის დედაქალაქ ბერლინშიც გადაინაცვლებს და ქართული დიასპორისა და მისი სტუმრებისთვის საქველმოქმედო კონცერტზე იმღერებს.

გვჯერა, ფოლკ-ჯგუფი საქართველოს ღირსეულად წარადგენს უცხოეთში. ამ მნიშვნელოვან ფესტივალში მონაწილეობისათვის "ლადი" ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს. ვაქვეყნებთ საბანკო რეკვიზიტებს, რათა სურვილისამებრ დავეხმაროთ მათ წარმატებით წარსდგენ ევროპელი მსმენელის წინაშე.

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
 ანგარიშის № GE31 BR00 0001 0750 7551 74
 კოდი: REPLGE22

ფოლკ-ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი ბეჟან გოგია, აქვე მადლობას უხდის სოჭის ფოლკლორული ცეკვების ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ დიმიტრი სახელაშვილს, რომელმაც "ლადის" წევრებს ქართული, ეროვნული სამოსი გადასცა საჩუქრად. გასზროლობამთი თარჩა მხოლოდ რამდენიმე დღე და "ლადის" გულშემატკივრებს აქტიურობისკენ მოვუწოდებთ.



გაბრიელ რუსაბე



ფოტო
განწყობისთვის

ველოცავთ!

ბატონ როსტომ თაყაიძე!
 დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იღვებოდეთ!
რამაზ კანდელაკი, ანდრო ბანაძე

ირმა კოჭავაძის!
 დაბადების დღეს გილოცავთ დიდი სიყვარულით და მონატრებით. გაიხარე და გამრავლი. ბედნიერების ღიმილი არ მოგეშალოს.
"საბრალოს მაცნე"

ანა სანაძის!
 დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენი მშვენიერი, ჭკვიანი, წარმატებულ და მოსიყვარულე გოგონავ. ყოველი წლის მატებას შენს ცხოვრებაში საუკეთესო საახლები მოეტანოს. ბედნიერება არ მოგკლებოდეს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში, შენი კიდევ ბევრი მიღწევით გაგეხარებინოს ოჯახი და ახლობლები.
"საბრალოს მაცნე"

რედაქციის მისამართი:
 საბრალონო, რუსთაველის ქ. №6
 ტელ: 790 391839

მაცნე
 საბრალონო

დირექტორი ბეჟან გოგია
 მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე
 გამომშვეები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
 პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავა